ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 31 აგვისტო, 2021 | №161 (8690) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ზურაბ შევარდნაძე: „არ მიეწიეთ სახლამდე ცოცხალი!“

გარდენიას საქმე შსს-ს გადაეცა

სუსი: „ვაგნერთან“ დაკავშირებული რუსეთის მოქალაქე საქართველოში არ იმყოფება“



გვ.5

„გახარია ჯერ კიდევ არ არის ოპოზიცია“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „საქართველოში არის 2%-იანი და 50-%-იანი პარტიები“

„ვაშაძის მესამე ძალა კი არა, ეს მოგებულის მხარეს მდგომი ძალა იჩეკება“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: რატომ გაჩნდა ბანერებზე კალაძის გუნდი საკრებულოში და არა – „ქართული ოცნების“

„ლარი სუნთქვის აპარატზე მიაერთეს“

გვ.3

ნიკა შენგელია: „ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მორგებულია „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ ინტერესებზე და არა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე“

„ოპოზიციამ ხალხი ილუზიებში არ უნდა ჩააგდოს“



გვ.4

ბეჟან ნათელაშვილი: „31 ოქტომბერზე უარესი გაყალბება 2 ოქტომბერს იქნება“

ირაკლი კობახიძე: „თუ ევროკავშირი კრედიტს არ მოგვცემს, ეს არ დაგვაზარალებს“

„ოცნებაში“ გადაწყვეტილებები მიიღება კოორდინაციით, კოორდინაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ვარ მე“

გვ.2

ISSN 1987-9385

4 რა შემოსავალი აქვს მთავრობის დაფუძნებულ „მოსავლის მართვის კომპანიას“

4 თბილისში 6 წლის ბავშვი კოვიდ-19-ით გარდაიცვალა

5 „მკვლელობით მემუქრებოდა“ თბილისში ტრანსგენდერ ქალს ტაქსის მძღოლმა სცემა

5 ადვოკატი: „ზურაბ ზვიადაურს კლინიკაში გადაყვანა შეიძლება დასჭირდეს“

„ვაშაძის მესამე ძალა კი არა, ეს მოგებულის მხარეს მდგომი ძალა იჩეკება“

ლადო სადღობელაშვილი: რატომ გაჩნდა ბანერებზე კალაძის გუნდი საკრებულოში და არა – „ქართული ოცნების“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ეპიდემიური სიტუაციის გათვალისწინებით ოპოზიციის ერთმა ნაწილმა არჩევნების გადადება მოითხოვა, თუმცა „ოცნება“ კატეგორიულ უარზეა. სულ გვესმის შეფასებები, რომ „ქართულ ოცნებას“ აწყობს ეს სიტუაცია და არავითარ შემთხვევაში არ გადადებს არჩევნებსო. რას იტყვით თქვენ?

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პოზიციაც და ოპოზიციაც ერთმანეთის ჯიბრით მოქმედებს.

– რას გულისხმობთ?

– ჯერ ხომ აშკარად ეჯიბრება ღარიბაშვილი გახარიას და ცდილობს გუნდს დაუმტკიცოს, რომ ის უფრო მაგარია. თავიდან ეს ასე აშკარად არ შეიმჩნეოდა, მაგრამ ღარიბაშვილის ბოლოდროინდელმა განცხადებებმა ეს აშკარად გამოკვეთა. საზოგადოების დასანახად და მისი სიტყვების გასამყარებლად კი ივანიშვილის სიტყვები მოიშველია. პრემიერისგან ეს არც ისე სასიამოვნო მოსასმენია. პარტიული მუშაკები რომ დაუპირისპირდნენ, ეს, კი ბატონო, მაგრამ პრემიერისგან ეს არასწორია. თანაც, დაუკვირდით, რა ხდება. პრემიერის და კობახიძე-მდინარაძის გარდა, გახარიაზე „ოცნების“ არც ერთი წევრი ხმას რა იღებს. ერიდებიან მის გალანძღვას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ თვითონვე ჰგონიათ, რომ ეს ბიძინას თამაშია. გადაუარონ გახარიას და ვაი და ბიძინამ ის მოატრიალოს, მერე რა უნდა ქნან? აშკარად გაორებულები არიან.

– ღარიბაშვილი ვაბანკზე მიდის?

– მიდის და თან ამით ამტკიცებს, რომ იგი არის გახარიაზე ძლიერი, გახარიაზე უფრო ეროვნული, უფრო მობილიზებული და ასე შემდეგ. გახარიამ მთლიანად დაკეტა ქვეყანა და ხალხი 200 ლარიან დახმარებაზე შესვა. ეს მეც ძალიან არ მომწონდა.

– ღარიბაშვილმა არ დაკეტა, დულს ეკონომიკაო, მაგრამ ეს რის ხარჯზე?

– ღარიბაშვილმა მოისმინა სამსახურდაკარგული ადამიანების პრეტენზიები და თქვა, რომ მე არ დავხურავ ქვეყანასო.

– და მეორე უკიდურესობაში გადავარდა.

– ახლა იმის განსჯა, ეს უფრო მაგარი პრემიერია თუ გახარია უკეთესი იყო, არასწორია. ეს გრძელვადიან პერსპექტივაში გამოჩნდება. ღარიბაშვილი და გახარია თავიდანვე

დაპირისპირებულები იყვნენ, ერთხელ აგდებითაც თქვა გახარიამ, პატრიოტი კაცია თავდაცვის მინისტრად გამოდგებოდაო. ეს დაპირისპირება სულ იყო, ივანიშვილსაც ხომ უთხრა გახარიამ, შენ მე ღარიბაშვილი ხომ არ გგონივარო. მაშინ ცდილობდნენ არ შეემჩნიათ, ამან დღეს იჩინა თავი. დღეს „ოცნება“ მძიმე სიტუაციაშია.

– რას გულისხმობთ?

– მან დაკარგა გუნდი, რომელსაც ენდო, გახარიას ვგულისხმობ და მის გუნდს. ამავდროულად, თბილისში, ბანერებზე ჩნდება წარწერა, კალაძის გუნდი საკრებულოში! „ქართული ოცნების“ გუნდი საკრებულოში კი არა, კალაძის გუნდიო.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს ყველაფერი, იცით, რას ნიშნავს? საზოგადოება ბნელი არ არის და ხვდება, სად როგორი ვითარებაა.

– კალაძემ ცალკე თამაში დაიწყო?

– ცალკე თამაში კი არა, ისიც რაღაცას ამტკიცებს. ყველა ხედავს, რომ ქვედინებებია ამ პარტიაში და ერთმანეთის ჭამის და ფეხის დადების გარდა რომ არაფერს არ აკეთებენ და ქვეყანა რომ სტაგნაციას განიცდის, ეს ყველაფერი ამის ბრალია! იცით, სააკაშვილის დროს რა ხდებოდა? სააკაშვილი იყო და იმის წინ მორბენალი კვიცი არ არსებობდა. ყოველთვის იმასთან თანხმდებოდა მცირედი დეტალებიც კი. ახლა ჩვენთან რა ხდება? ყველა თავისკენ ექაჩება. ეს ქვედინებები და არაგუნდურობა, საზოგადოებისთვის თვალსაჩინოა და ეს დამღუპველია. კიდევ მეტ უნდობლობას აჩენს საზოგადოებაში. ლიდერი იმის ლიდერია, რომ ეს ყველაფერი გააერთიანოს და არა კიდევ უფრო დააქუცმაცოს.

– ვერ შეძლო ღარიბაშვილმა ლიდერობა და ვერც მკაცრი ხელი აღმოჩნდა?

– ამ შემთხვევაში, ღარიბაშვილზე მეტად, კალაძის ბრალეულობას ვხედავ. კალაძემ ძალიან კარგად ნახა, რომ გახარიას წასვლის შედეგად, ძალიან დიდი დარტყმის ქვეშ დადგა პარტია და ის თავისას მაინც არ იშლის და პლაკატებზე აწერს ჩემი გუნდიო. ეს რა გუნდურობაა?! უკვე ღიად ჩანს, რომ ესენი არა ადგილობრივ არჩევნებს ატარებენ, არამედ საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. რაღაც სწორება აქვთ გახარიაზე თუ მის მიმართ ჯინი აქვთ, იმაზე ნაკლები შედეგები არ უნდა დაიდოს, რაც გახარიამ დადოო, ასეა ნათქვამი შიგნით. არის ახლა ამ პანდემიის დროს ამის ადგილი?! რას ეკინკლავები? ჩაიდინა დანაშაული? თქვი ერთხელ და დაარქვი ყველაფერს თავისი სახელი. დასაჭერია? დაიჭირე. გამოხვიდე და ამან ის ქნა, იმან ის ქნა, ეს არასერიოზულია. დღეს „ოცნების“ ტაქტიკა ასეთია, აიღებენ თუ არ აიღებენ 43%-ს, დარწმუნებული ვარ, ვადამდელი არჩევნები მაინც დაინიშნება. დღეს „ოცნება“ ერთ ადგილს ათამაშებს. 43%-ზე მეტს აიღებს „ოცნება“ თუ ნაკლებს, ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დაინიშნება. ჩემი პროგნოზი ასეთია, რომ აიღებენ 43%-ზე ოდნავ მეტს, აქეთ მიჰყავთ სიტუაცია. კვლევებში თვითონვე ასე იწერენ 47%-ს.

– იწერენ?

– იწერენ ტყუილად არ მითქვამს, დიახ, იწერენ. ასე იწერდნენ საპარლამენტოზეც. ახლაც იგივე მოხდება, 47%-ს იწერენ და აიღებენ და შეიძლება აიღონ 44%. ამის მიუხედავად ვადამდელი იქნება. დღესდღეობით ისეთი გაბითურებულია „ქართული ოცნება“, ისეთი გაცვეთილია, რომ ან თუ მთლიანად არ განახლდა, ან ვინმესთან კოალიციაში არ შევიდა, ისე წასულია მაგათი საქმე, ეს პარტია ხელისუფლებიდან წავა. უკვე ისეთი ადამიანები იჭერენ ნაციონალების პოზიციას, „ოცნებიდან“ ისეთები გადადიან ნაცების გუნდში. აჭარიდან მოვდივარ და ისეთები გადავიდნენ ნაცების ბანაკში, რომ გაოცებული ვარ.

– ამ ფონზე როგორ გამოიყურება ოპოზიცია?

– რაც შეეხება ოპოზიციას, სხვათა შორის, ოპოზიცია მოქმედებს ძალიან ჭკვიანურად. ძალიან კარგი ტაქტიკა აირჩიეს, ძალიან სწორად იქცევიან, მერობის საერთო კანდიდატებს რომ აყენებენ. ხოლო ვინც არ შევიდა ამ საერთო კანდიდატებში, მაგალითად, რა მოხდა „ლელოს“ შემთხვევაში, მათ ისეთი კანდიდატი დააყენეს, ისეთი სუსტი, რომ დიდი ალბათობით მთელ გუნდს ჩარეცხავს. ვაშაძეზეც იყო მითქმა-მოთქმები და ისიც ანალოგიურ სიტუაციაში ჩავარდება. დღეს პოლიტიკური სპექტრი სამ ფრთად არის დაყოფილი, პირველი ფრთა „ოცნებაა“, მეორე ფრთა ნაცმოძრაობა და მასთან ასოცირებული პარტიები, ხოლო მესამე ძალა, რასაც თავის თავს ვაშაძე უწოდებს, ეს მესამე ძალა კი არ არის, ეს მოგებულის მხარეს მდგომი ძალა იჩეკება. ანუ ვინც მოიგებს, იმათკენ გადაიხრება. ეს ბონუსია უფრო, ვიდრე მესამე ძალა. იმის თქმა მინდა, რომ სულ მთლად ცუდ მდგომარეობაში არ არის ოპოზიცია. საკმაოდ გაშლილები არიან, ყველა წიწკნის თავის ლუკმა ტორტს. „ქართულმა ოცნებამ“ კი ისიც ვერ მოახერხა, რომ ის პარტიები, ვინც ადრე მასთან ასოცირდებოდა, პატრიოტთა ალიანსი და სხვები, ისინი მაინც დაეშოშმინებინა. მოკლედ, ძალიან აჭრილები არიან და გაძვალტყავებული ცხოველის შთაბეჭდილებას ტოვებს დღეს „ქართული ოცნება“.

ირაკლი კობახიძე: „თუ ევროკავშირი კრედიტს არ მოგვცემს, ეს არ დაგვაზარალებს“

„ოცნებაში“ გადაწყვეტილებები მიიღება კოორდინაციით, კოორდინაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ვარ მე“

– „ქართულ ოცნებაში“ გადაწყვეტილებები მიიღება კოორდინაციის საფუძველზე, ამ კოორდინაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ვარ მე, როგორც პარტიის თავმჯდომარე.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, „პალიტრანიუსის“ ეთერში გადაცემაში „დღის ნიუსრუმი“ განაცხადა.

ირაკლი კობახიძის თქმით, საკვანძო პოლიტიკური გადაწყვეტილებები პარტიის პოლიტსაბჭოს მიერ მიიღება.

– თუმცა პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საკვანძო გადაწყვეტილებები მიიღება პარტიის პოლიტსაბჭოს მიერ. ჩვენ გვაქვს კოლეგიური მართვის წესი და ზუსტად ასეთი წესით ვიღებთ გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება ჩემს როლს, ჩემი მთავარი როლი არის ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესის კოორდინაცია და გახლავართ როგორც პარტიის თავმჯდომარე, ასევე პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე და სწორედ ასეთი კოორდინაციით მიიღება ყველა გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის მიერ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი პარტიასთან სრულად დისტანცირებულია და მმართველი გუნდი მასთან კონსულტაციებს არ მართავს.

– იანვარში შედგა ჩვენი პარტიის ყრილობა და ყრილობის წინა დღეებში შედგა ბოლო კომუნიკაცია და ბოლო შეხვედრა ივანიშვილთან. ის არის მთლიანად დისტანცირებული. მისი სურვილი იყო სრული დისტანცირება პოლიტიკისგან. ის ადრეც გავიდა პოლიტიკიდან, თუმცა მაშინ განსხვავებული განცხადებები გააკეთა. მან განაცხადა, რომ კონსულტაციებით გუნდს დაეხმარებოდა, თუმცა იგივე განცხადება მას არ გაუკეთებია მეორე შემთხვევაში.

ის არის გასული პოლიტიკიდან და მან მკაფიოდ განაცხადა, რომ კონსულტაციებითაც კი არ დაეხმარება გუნდს. ეს არის მისი მყარი პოზიცია, ეს იყო მისი არჩევანი და მისი გადაწყვეტილება და, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანის ვალია, პატივი ვცეთ მის ამ გადაწყვეტილებას.

ამ პრინციპით მოქმედებს გუნდის თითოეული წევრი. თუ ვინმე შეეცდება დაკავშირებას, კომუნიკაციის დამყარებას, ეს იქნება ბიძინა ივანიშვილის სურვილის წინააღმდეგ წასვლა, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გვაქვს და აღარ აქვს ფინანსური დატვირთვა იმას, მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირისგან მაკროფინანსურ დახმარებას.

შესაბამისად, ყველაფერი ევროკავშირის გადასაწყვეტია.

ამასთან, კობახიძემ უპასუხა კითხვას, რა ფინანსური რესურსით აპირებს მთავრობა დაკომპენსიროს ფინანსური დახმარების მეორე ტრანშით გათვალისწინებული 75 მილიონი, თუკი ევროკავშირი ქვეყანას მის გამოყოფაზე უარს ეტყვის.

კობახიძის თქმით, მაღალი ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე, ბიუჯეტში დამატებით 1 მლრდ ლარამდე აკუმულირება მოხდა.

ამასთან, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ თუკი ევროკავშირი საქართველოს აღნიშნულ ფინანსურ დახმარებას დაუბლოკავს, ეს სანქცია არ იქნება.

– ფინანსური დატვირთვა აღარ აქვს პუნქტს, გამომდინარე იქიდან, რომ არის 75 მლნ ევროს კრედიტი. მადლობა ღმერთს, ეკონომიკური ვითარება განსხვავებულია. ბიუჯეტში დამატებით დაახლოებით 1 მლრდ ლარის აკუმულირება მოხდა პროგნოზირებასთან შედარებით და გამომდინარე იქიდან, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელია, ამას ფინანსური დატვირთვა აღარ აქვს.

რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს – ყველაფერი ევროკავშირის გადასაწყვეტია, მაგრამ რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ის მოქმედებს, პირველი – ქვეყნის ინტერესების შესაბამისად და მეორე – ჩვენი სტრატეგიული პარ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია ჯერ კიდევ არ არის ოპოზიცია“

სოსო ცინცაძე: „საქართველოში არის 2%-იანი და 50-%-იანი პარტიები“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო სოსო, გიორგი ვაშაძის გადაწყვეტილება, რომ პარტიას „მესამე ძალა“ დაარქვას, საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე მოდის?

– საქმეც ისაა, რომ საზოგადოებაში მესამე ძალის არავითარი მოთხოვნა არ არის. ერთადერთი, რაც მთელ ამ ამბავში საინტერესოა, ეს არის გრიგოლ ვაშაძის პოლიტიკაში დაბრუნება. ბურუსით იყო მოცული მისი წასვლა. თუმცა, საზოგადოება ალბათ გარკვეულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს მისგან.



არ ვფიქრობ, რომ „მესამე ძალა“ ამ ერთ თვეში რეალურ დომინანტად იქცეს. ასეთი წინაპირობები არ ჩანს.

მოსწონს ვინმეს თუ არ მოსწონს, რეალობა ორპოლუსიანია. წამყვანი პარტია მაინც ორია, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. ყველაფერს მაინც, გვინდა არ გვინდა, ბაზარი არეგულირებს. როგორიც არის მოთხოვნა, მიწოდებაც ისეთია. როგორც ჩანს, მაინც ამ ორი ძალის ირგვლივ არის ამომრჩეველი კონცენტრირებული.

– ეს არჩევნებიც ორპოლუსიანი იქნება თუ გახარიას გამოჩენა რაღაცას მაინც შეცვლის?

– ძირითადად ისევ ორპოლუსიანი იქნება. თუმცა, გახარიას არჩევნებში მონაწილეობა, რასაკვირველია, გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ გახარია ამ არჩევნებზე ალბათ უფრო მესამე ადგილს აიღებს. მეორე ადგილზე ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ გავა. საქართველოში არის 2%-იანი და 50-%-იანი პარტიები. 10-15%-იანი პარტიები ჩვენთან არ არის. ეს მოცემულობა ძალიან აფერხებს რეალური კოალიციური მთავრობის შექმნას. ან, რომც შეიქმნას, როგორ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყოს კოალიცია, რომელიც იქნება დაკომპლექტებული 2%-იანი და 30%-იანი პარტიით?! ეს არ არის კლასიკური გაგებით კოალიცია, ევროპული კოალიცია, როგორც, მაგალითად, გერმანიაში.

– ამ არჩევნებიდან როგორი მოლოდინი გაქვთ?

– ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანია არ ჩანს. ჩანს მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც გეგმაზომიერად მოქმედებს. მოქმედებს კანონის ფარგლებში და იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. მერებისთვის ხელფასების მატების პირობა, მაგრამ მეეზოვეს არ აქვს უფლება, ხელფასის გაზრდა მოითხოვოს, როდესაც 400 ლარი აქვს ხელფასი. სხვა უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

– გახარიას რომ დავუბრუნდეთ. თქვენ თქვით, რომ მესამე ადგილზე გავა. დასჯერდება მესამე ადგილს?

– გახარიას დიდი შანსი აქვს, მაგრამ მას რამდენიმე ფრონტიდან უტევენ. „ქართული ოცნება“ სერიოზულად უტევს და ოპოზიციაც არ აკლებს. მიუხედავად ყველაფრისა, ის უფრო საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. სწორედ მაშინ აჩვენებს თავის რეალურ ძალას.

– „ქართულ ოცნებასთან“ უფრო წარმოგიდგენიათ კოალიციაში თუ ოპოზიციასთან?

– არა, არა, „ოცნება“ და გახარია ერთად უკვე ვერასოდეს მოძოვენ. შიდა კონკურენცია ისეთი ძლიერია, რომ უკვე მათი ერთ მთავრობაში ყოფნა ძალიან რთული იქნება. თუმცა პოლიტიკაში, მით უფრო საქართველოში, გამორიცხული არაფერი არ არის.

რეალურად გახარიასთვის 2 ოქტომბრის არჩევნები იქნება ძალების მოსინჯვის არჩევნები. ეს მას რეალურად სჭირდება საიმისოდ, რომ დაინახოს, სამომავლოდ რა შეუძლია და ამის მიხედვით დაალაგოს თავისი გეგმები. ჭკვიანი კაცია და არ უნდა გაუჭირდეს. ჯერ სწორად მიდის. არ ხმაურობს. ჩუმად აკეთებს

თავის საქმეს, პარტიას აყალიბებს. ამის ნიშანია „ოცნების“ ლიდერების ეს გაუგონარი კრიტიკა და დრო და დრო „ოცნებიდან“ გახარიას პარტიაში გაქცეული ხალხი. გიორგი გახარია ალბათ მთელი ძალით მაინც 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამუშავდება. კლასიკური გაგებით გახარია ჯერ კიდევ არ არის ოპოზიცია მთელი თავისი დატვირთვით. არ გამოვრიცხავ, რომ ის გარკვეულ გათვლებს აკეთებდეს. ელოდებოდეს არჩევნების მიერ დადებულ შედეგებს – ვინ, როგორ?! თუმცა, 2 ოქტომბერსაც სახელისუფლო ღვეზელს ძალიან მნიშვნელოვან ნაჭერს ჩამოაჭრის. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით მეტს, ვიდრე ეს წვრილ-წვრილი პარტიები. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგად იცის „ქართულმა ოცნებამ“ და ამიტომ ვისმენთ იმას, რასაც ვისმენთ გახარიას მიმართ.

„ლარი სუნთქვის აპარატზე მიაერთეს“

ნიკა შენგელია: „ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მორგებულია „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ ინტერესებზე და არა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე“

იაგო ნაცვლიშვილი

კორონავირუსის გავრცელების და სიკვდილიანობის თვალსაზრისით საქართველოში ისევ უმძიმესი ვითარებაა. ამ ფონზე მთავრობა ნელ-ნელა ამოქმედებს ეკონომიკის შემზღუდავ ღონისძიებებს. ჩაკეტილია საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რაც ხალხს მძიმე ტვირთად აწევს.

როგორ მოქმედებს არსებული ვითარება ეკონომიკაზე? ხომ არ უნდა ველოდოთ ინფლაციას და რა ბედი ელის ლარს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეკონომისტი **ნიკა შენგელია** საუბრობს.

– ისევ პანდემია გვაქვს ქვეყანაში, ნელ-ნელა იზღუდება ბიზნესსაქმიანობაც. ეს როგორ აისახება ეკონომიკაზე. წინა ჩაკეტვებისგან განსხვავებით, ამჯერად თუ მაინც მოქმედებს სწორად ხელისუფლება?

– განცხადებები კეთდება, რომ ეკონომიკა იზრდება, ციფრები და რიცხვები იმატებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩაკეტილი იყო ეკონომიკა. როდესაც გაიხსნა, მოგეხსენებათ, გაიზარდა იმპორტ-ექსპორტი. ექსპორტში გაზრდილია მინერალური წყლების გატანა და ა. შ. ამასთანავე ძირითადად არის რე-ექსპორტი და არა ექსპორტი. საქმე ის არის, რომ ეს მხოლოდ კომპანიებზე აისახება და ბიუჯეტზე არ აისახება. კარგად რომ იყოს სიტუაცია, მაშინ არ იქნებოდა ის მაჩვენებლები, რომელიც გამოვიდა ღარიბი მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით. გვაქვს დეფიციტი ბიუჯეტში, პრობლემაა სამუშაო ადგილებთან დაკავშირებითაც.

– მაშინ რაზე დაყრდნობით გვეუბნება მთავრობა, რომ გაზრდილია ეკონომიკური პარამეტრები?

– არა, პარამეტრების ზოგიერთი მაჩვენებელი გაიზარდა. ეს თავისთავად ასე იქნებოდა. იმიტომ, რომ როდესაც გაიხსნა ეკონომიკა, გაიხსნა საზღვრები და დაიწყო გადაადგილება, ცხადია, მეტი ტურისტი შემოვიდა, მეტი ნედლეული გავიდა, ხილი გავიდა და ა. შ.

– ეს გასაგებია, მაგრამ ამ დროს სიამაყით უნდა გვითხრან, რომ რა კარგი პოლიტიკა გაატარეს? ამის საფუძველი აქვთ?

– არა, რა თქმა უნდა. კარგი პოლიტიკა რომ იყოს გატარებული, არ გვექნებოდა გაზრდილი უმუშევრობა, არ გვექნებოდა ინფლაცია. გაზრდილი არ იქნებოდა დახმარებაზე მიმართვიანობა, ანუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა. არ გვექნებოდა ბიუჯეტში ამხელა დეფიციტი.

მთავრობა რას ამბობს ერთია, მაგრამ მეორეა, მოსახლეობა რას ხედავს და როგორ არის ვითარება. გაზრდილია გადასახადები და კიდევ აპირებენ, გაზის ტარიფის ზრდაზეა საუბარი. ამიტომ, სახარბიელო სიტუაცია ნამდვილად არ გვაქვს. მთავრობამ დიდი შეცდომა დაუშვა იმით, რომ ხალხმა, რომელმაც დაკარგა სამსახურები და დღემდე უმუშევრები არიან, მათ შეუწყვიტეს 200-ლარიანი დახმარება. რაც თავისთავად უარყოფითად აისახება სოციალურ ფონზე. უახლოეს მომავალში პანდემიის რიცხვებს რაც შეეხება, ჩვენ არ ვიცით, რა როგორ იქნება.

– ტრანსპორტის დაკეტვა რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ?

– მე ვფიქრობ, რომ მეტისმეტია ტრანსპორტის დაკეტვა. ვფიქრობ, რომ უფრო მეტად ადამიანების კონტროლი უნდა ხდებოდეს პირბადეების ტარებასთან დაკავშირებით. ვხედავთ, რომ ქუჩაში ფაქტობრივად არავინ ატარებს ნიღაბს. ყველას ცხვირი აქვს ამოყოფილი. გასაგებია, რომ სიცხეა, მაგრამ ტრანსპორტის დაკეტვა კიდევ უფრო ართულებს ვითარებას და პრობლემას უქმნის ადამიანებს. არ გამოვრიცხავ, რომ აგვისტოში ეკონომიკის მაჩვენებლები შემცირებული იყოს. იმიტომ, რომ შემცირდა ეკონომიკური საქმიანობა ამ შეზღუდვებიდან გამომდინარე.

საერთოდ თუ შეზღუდვებზეა საუბარი, ალბათ შიდა ლოკდაუნების სახით უნდა გაკეთებულიყო ეს იმ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც მძიმე ვითარებაა. არ გამოვრიცხავ, რომ ასეც მოუწიოთ გაკეთება. ჯერჯერობით ყველაფერი წინ არის.

– ახსენეთ ინფლაცია და ფასების ზრდა ისევ გველოდება?

– ყოველ შემთხვევაში, ფასების შემცირება ნამდვილად არ გველოდება. ეს არის საქართველოს ისტორიაში ისეთი პერიოდი, როდესაც ადგილობრივი ბოსტნეულის ფასი ძალიან მაღალია. იგივე პომიდვრის ფასი, ამ დროს ასეთი მაღალი, ისტორიას არ ახსოვს, იგივე ითქმის კიტრსა და ადგილობრივი წარმოების სხვა პროდუქციაზე. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ არაეფექტური მართვა და არაეფექტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა.

ეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მორგებულია რამდენიმე ბანკის ინტერესებზე და არა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

– მთავარ ბანკებს გულისხმობთ?

– დიახ, დიდ ბანკებს ვგულისხმობ – „საქართველოს ბანკსა“ და „თიბისი ბანკს“. ეს ბანკები კარნახობენ ყველას ვალუტის კურსს. ახლა ვალუტის კურსი სუნთქვის აპარატზე მიაერთეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლარის გაუფასურება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არჩევნებია და არ აწყობთ.

– ხელოვნურად აჩერებენ?

– როგორც კი იყო ლარის გაუფასურების ტენდენცია რამდენიმე დღის წინ, ეგრევე გამოიტანეს 30 მილიონი. სექტემბრის მეორე ნახევრიდან დოლარი გამყარდება მსოფლიო ბაზარზე, ამის ნიშნები არის, მაგრამ საქართველოში 10 ოქტომბრიდან მოხდება ლარის გაუფასურების ტენდენცია.

– ისევ იმ ნიშნულამდე ავა, რაც იყო – 3.30-3.50-ის ფარგლებში?

– 3.30-ის – 3.40-ის ფარგლებში ჩვენ გვქონდა პროგნოზი და ჩვენ ეს პროგნოზი ისევ არ შეგვიცვლია. შესაძლოა 3.50-მდეც ავიდეს. მეტს არ ვფიქრობ. ზოგიერთი ექსპერტის გადაჭარბებული პროგნოზი იყო, რომ თითქოს 4-მდეც ავა. აქამდე არ მივა საქმე. იმიტომ, რომ რეზერვები აქვს ეროვნულ ბანკს. რეზერვებს გამოიყენებს.

მთავარი გამოწვევა ქვეყნისთვის მაინც არის უმუშევრობა და ინფლაცია, ასევე ნეპოტიზმი. პანდემიამდე ჩვენთან ეკონომიკა ყოველ წელს იზრდებოდა 5-7%-ით, მაგრამ რეალურად ხალხზე არ მოქმედებდა. ეროვნული ბანკის მონაცემები რეალურად არ ასახავს მოსახლეობის არსებულ მდგომარეობას.

ირაკლი კობახიძე: „თუ ევროკავშირი კრედიტს არ მოგვცემს, ეს არ დაგვაზარალებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტნიორების ობიექტური ინტერესების შესაბამისად.

ტერმინი სანქცია იქნება სრული სპეკულაცია. ვნახოთ, რა გადაწყვეტილება მიიღება. ფინანსური თვალსაზრისით, ამ კრედიტმა აქტუალობა დაკარგა, თუმცა, რაც შეეხება პოლიტიკურ დატვირთვას, ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ეს პოლიტიკური დატვირთვა, თუმცა სანქციებზე ლაპარაკი არის ცარიელი სპეკულაცია, – განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება იმას, რომ „ქართული ოცნების“ ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორების ნაწილთან პრობლემური გახდა“, კობახიძე ამბობს, რომ ვითარებიდან გამომდინარე შარლ მიშელის შეთანხმების ანულირება ერთადერთი გამოსავალი იყო.

– ჩვენ ჩავატარეთ საპარლამენტო არჩევნები, რომელიც აღიარა ეუთო/ოდირმა, როგორც კონკურენტული და თავისუფალი, ეს იყო მისი შეფასება. ასეთად აღიარებული არჩევნების მიუხედავად, ოპოზიცია გადავიდა საბოტაჟის რეჟიმზე და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არანაირი ვალდებულება არ გვქონდა ამის, ხელი მოვაწერეთ 19 აპრილის შეთანხმებას. ამის შემდეგ გადის 100 დღე და ოპოზიციის დიდი ნაწილი – 8-დან 4 ბარიერგადალახული პარტია და ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილი, კვლავ არ აწერს ხელს დოკუმენტს, რომელსაც ხელი მოვაწერეთ რეალურად ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ დროს ერთადერთი ლოგიკური ნაბიჯი იყო შეთანხმების ანულირება.

რაც შეეხება მოსამართლეების არჩევის საკითხს, ეს მოხდა თავიდან ბოლომდე 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად. ეს ძალიან კარგად იციან იმ ადამიანებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ შესაბამის მოლაპარაკებებში, – განაცხადა კობახიძემ.

„ოპოზიციამ ხალხი ილუზიებში არ უნდა ჩააგდოს“

ბეჟან ნათელაშვილი: „31 ოქტომბერზე უარესი გაყალბება 2 ოქტომბერს იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

მოახლოებულ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრს, ბეჟან ნათელაშვილს.

– როგორ აფასებთ წინასაარჩევნო კამპანიას შექმნილ ეპიდსიტუაციაში? კამპანიას ახერხებს „ქართული ოცნება“. მისი წარმომადგენლები კარდაკარაც დადიან. სხვები გაჩერებული არიან.

– შეიქმნა მძიმე მდგომარეობა. საქართველო კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობით ყველას უსწრებს. რასაკვირველია, წინასაარჩევნო აქტივობა იზღუდება. რას შეეხება „ქართულ ოცნებას“, მისთვის კოვიდ-19 მაშველი რგოლია. ასეა მას შემდეგ, რაც პანდემია საქართველოსაც შეეხო. ამდენი ხალხის დაღუპვა „ოცნების“ კისერზეა. იმედია, ხალხი ამას მიხვდა. თუ მართლა მიხვდა, მაშინ ადგება, თავის სიტყვას იტყვის და ამ ხელისუფლებას ერთ ლაზათიან კახურ პანღურსაც ამოჭკრავს. ეგაა, რომ ხელისუფლება გაყალბებას არც ახლა მოიშლის და არჩევნებზე სასურველ ციფრებს დაიწერს. ოპოზიცია რომ ბოლომდე მაგრად მდგარიყო და პარლამენტში არ შესულიყო, ამას, ალბათ, ვერ გაბედავდნენ. ახლა კი, როცა ოპოზიციამ წინა არჩევნები „გააპრავა“, ყველაფერია მოსალოდნელი.

– დამოუკიდებელი კომენტატორები ოპოზიციას მოუწოდებენ, მმართველის პარტიის წინასწარ შემუშავებულ მაქინაციებს საკუთარი ძალა დაუპირისპიროს.

– ეს სათქმელად ადვილია, განსახორციელებლად – შეუძლებელი. ავიღოთ ჩვენი ლეიბორისტული პარტია. „ოცნებამ“ იმდენი ქნა, რომ საარჩევნო კომისიებში წევრები წაგვართვა. ერთადერთი პარტია ვართ, რომელსაც ასე მოექცნენ.

– ეს მოხდა საარჩევნო კოდექსში რამდენიმე თვის წინ შეტანილი ცვლილებებით. პატრიოტთა ალიანსიც თვლის თავს დაზარალებულად.

– თქვენ მიერ ნახსენები ცვლილებები ხელისუფლებამ ჩვენი, ლეიბორისტების დასასჯელად მიიღო. პატრიოტთა ალიანსი სხვა მდგომარეობაშია. რაც უნდა იძახონ, ასე არაა, „ალიანსის“ წარმომადგენლები არიან პარლამენტში. მათ სხვა სახელი დაირქვეს. დაზარალებული ჩვენ ვართ. სადამსჯელო ოპერაცია ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება. ეს საზოგადოებისთვისაც დიდი დარტყმაა. რომ ამბობენ, ოპოზიციამ გაყალბებას რამე დაუპირისპირისო, რა უნდა დაუხვედროს ამას ოპოზიციამ?! კანონით პარტიებს აქვთ გასაჩივრების უფლება. ეს „ოცნებამ“ ფიქციად აქცია, რაც უნდა გაასაჩივრო, სასამართლო ყურს არ იბერტყავს. ოპოზიციას სხვა ბერკეტები არა აქვს. რჩება მასობრივი პროტესტის გზა. მარტო არჩევნებს არ აყალბებს ეს ხელისუფლება. ნახეთ, რა მდგომარეობაშია ხალხი! ამას ემატება გაზრდილი კოვიდ-ლეტალობა. ხალხი ახლა მაინც უნდა გამოფიზღდეს.

– არჩევნების გაყალბების მოლოდინი არ ნიშნავს იმას, რომ ხალხი არჩევნებზე არ მივიდეს?

– ცხადია. ხალხმა თავისი მოვალეობა უნდა მოიხადოს. არჩევნებზე მისვლა აუცილებელია. თუ ხელისუფლებამ მოსყიდვასა და დაშინებასთან ერთად ბიულეტენებიც მასობრივად ჩაყარა, ამას პასუხი უნდა გავცეთ. მგონია, რომ 31 ოქტომბერზე უარესი გაყალბება 2 ოქტომბერს იქნება.

– უამრავი დასავლელი დამკვირვებელი ამას ვერ შეაჩერებს? 2020 წელს ისინი ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი არჩევნებზე.

– დამკვირვებლები კარგია, მაგრამ ისინი უბნების ნახევარსაც ვერ მოიცავენ. თან, ამ გაზრდილი სიკვდილიანობის დროს!

– ისინი აცრილები არიან და არ შეეშინდებათ.

– ღმერთმა ქნას, დამკვირვებლები ბლომად ჩამოვიდნენ. სავალალო ისაა, რომ საარჩევნო კომისიებში აბსოლუტური უმრავლესობა მმართველი პარტიისაა. ელისაშვილის, გირჩის წევრებიც ფაქტობრივად „ოცნებისაა“. ე. წ. პროფესიონალური ნიშნით შერჩეული წევრებიც მათია. „ოცნებას“ კომისიებში ჰყავს საკუთარი წევრებიც.

– ოპოზიცია ამ არჩევნებს ისევ რეფერენდუმს უწოდებს.

– ოპოზიციამ ხალხი ილუზიებში არ უნდა ჩააგდოს. ოპოზიციის სურვილები ერთია, რეალობა – სხვა. ხალხი არ უნდა მოატყუონ და ადამიანებს არ უნდა უთხრან, რომ „ოცნებას“ ამარცხებენ. ამ ტყუილი მოლოდინით კეთდება „ქართული ოცნების“ საქმე. ჯობია, ოპოზიციამ ხალხს აუხსნას, რომ მოსალოდნელია გაყალბება და აუცილებელია ამის გაპროტესტება.

– ახსენეთ, რომ კოვიდი „ოცნების“ მაშველი რგოლია. ასეთი კოვიდსტატისტიკის პირობებში ეს შესაძლებელია?

– ხელისუფლება პანდემიას მუდმივად საკუთარი მიზნებისთვის იყენებს. მე ამას ვამბობ. ისე, ასეთი სიკვდილიანობის შემდეგ ნორმალურმა ადამიანმა „ქართულ ოცნებას“ არაფრით არ უნდა მისცეს ხმა. რაც ნაკლებს მიიღებს არჩევნებზე, მით უფრო გაუჭირდება 43%-ის გადალახვა. პროცენტები გარკვეულ ბაზას ემყარება. დარწმუნებული ვარ, რომ მმართველ პარტიას ადმინისტრაციული რესურსის (საჯარო სექტორში დასაქმებულები) გარდა მხარდამჭერი არ ჰყავს.

– იქაც ხომ არ გაუჭირდა ხელისუფლებას? მოხელეებს ხელფასების მატებას ჰპირდებიან.

– თავისთავად, ასეა. აეჭრათ სიტუაცია. პოლარიზაციის პიკია.

– პოლარიზაცია ისევ „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის მიმდინარეობს?

– ხელისუფლებას უნდა, რომ ასე იყოს და სხვა პარტიები ისევ „გააქრონ“ სარბიელიდან. საქმე ისაა, რომ მოსახლეობა ამას აღარ ჭამს. იმის გამო, რომ მოსალოდნელია გაყალბება, არჩევნების დღეს ხალხი შინ არ უნდა დარჩეს. არჩევნებზე მაინც უნდა მივიდეთ. თუ „ოცნებამ“ ისევ მასობრივად გააყალბა არჩევნები, ეს არ უნდა ჩავყლაპოთ, თორემ, უარესი მოგველის. ეპიდემიის გადადებაზე არ უნდა ვიფიქროთ. ამაზე მეტი რა უნდა დაგვემართოს!

თენგიზ ცერცვაძე: „მალე უახლესი ანტივირუსული მედიკამენტები შემოვა“

– ახლა ჩვენთან მალე იგეგმება ყველაზე ახალი ანტივირუსული მედიკამენტების, მომავლის თერაპიის, მონოკლონური ანტისხეულების შემოტანა, რომელიც ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება.

ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, საქართველოში მკურნალობის პროტოკოლის ცვლილება არ იგეგმება, რადგან გარდაცვლილთა რაოდენობის მატება არ უკავშირდება პროტოკოლში არსებულ ხარვეზებს ან ვირუსის მართვის ხარისხს. ცერცვაძის თქმით, გარდაცვალების რიცხვის მატება დაავადებულთა რიცხვის მატებას უკავშირდება.

– პროტოკოლის რადიკალური ცვლილება არ იგეგმება, იმიტომ, რომ რამდენადაც ეს ვიღაცისთვის ნაკლებად დამაჯერებელი არ უნდა იყოს, აბსოლუტურად არ არის დაკავშირებული გარდაცვალების რიცხვის გაზრდა მკურნალობისა და მართვის ხარისხთან და პროტოკოლში რაიმე ხარვეზის არსებობასთან.

მე მსაყვედურობენ, რომ არ შეიძლება გარდაცვალებაზე სტატისტიკის ენით ლაპარაკიო, მაგრამ ამის გარეშეც არ შეიძლება. ჩვენ დღესაც კი, ასეთი მაღალი გარდაცვალების პირობებში, ძირითადი მაჩვენებლებით დადასტურებულ შემთხვევებში გარდაცვლილ პირთა რაოდენობა გვაქვს 1,34%, ევროპის 32 ქვეყანაზე დაბალი და ამერიკის შეერთებულ შტატებზე დაბალი, ეს ნიშნავს, რომ ყოველი 100 დაავადებულიდან მხოლოდ ერთის გადარჩენა ვერ ხერხდება.

როცა საქართველოს რეგულაციების დაუცველობის პირობებში, ასეთი მაღალი ავადობის პირობებში, მაინც ნაკლები გარდაცვლილი გვყავს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს, მსოფლიოს უძლიერეს ქვეყანას უძლიერესი მედიცინით, იქ რატომ უნდა ვილაპარაკოთ პროტოკოლის შეცვლაზე?

რაც შეეხება ოპტიმიზაციასა და ეტაპობრივ განახლებას, ამას ჩვენი პროტოკოლი მუდმივად განიცდის. ანალიტიკური გუნდი მუშაობს და თვალყურს ვადევნებთ ყველა სიახლეს, რაც ჩნდება მკურნალობაში მსოფლიოში, ზღვა მასალაა და იოლი არ არის გარკვევა, ამ სიახლეებიდან რომელი არის მისაღები როგორც სამკურნალო შედეგით, ისე სამართლებრივად და ეთიკურად.

ჩვენ არ დაგვიგვიანია რაიმე სიახლის დანერგვა და რაიმეს ოპტიმიზაცია, პირიქით, რიგ შემთხვევაში მივდივართ წინსწრებით, – განაცხადა ცერცვაძემ.

ამასთანავე, თენგიზ ცერცვაძემ კოვიდის მიმართ მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულება გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ საზოგადოებაში მაინც არ იქმნება განცდა, რომ მოსახლეობას კოვიდის და იმ რისკების ეშინია, რასაც შეიცავს ხალხმრავალი შეკრებები და პირბადის ტარებაზე უარის თქმა.

– მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც სტუმრად მიდის და მონაწილეობს ღონისძიებებში, მათ მაინც ხომ უნდა გაიაზრონ, რამხელა რისკები იქმნება ქვეყნისთვის და პირადად მათთვის. 2 თვით, მაქსიმუმ 3 თვით თავი შევიკავოთ ამ ხალხმრავალი შეკრებებისგან.

ვიმეორებ, რომ მოსახლეობის მეტ ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ „ფეისბუქზე“ ქვეყნდება მოწოდებები, შეწუხებული ადამიანების გულში ჩამწვდომი განცხადებები, მთელს საზოგადოებაში მაინც არ იქმნება განცდა, რომ მოსახლეობას კოვიდის ეშინია და იმ რისკების ეშინია, რასაც შეიცავს ეს ხალხმრავალი შეკრებები და პირბადის ტარებაზე უარის თქმა, – განაცხადა ცერცვაძემ.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობები 1 თვის განმავლობაში უფასოდ გაიცემა

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, საარჩევნო პროცესში შეუფერხებლად მონაწილეობისთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ერთი თვის განმავლობაში უფასოდ გაიცემა. როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, აქცია 1-ელი სექტემბრიდან ამოქმედდება.

„პირადობის მოწმობის საფასურის გადახდისგან გათავისუფლდებიან: საქართველოს ის სრულწლოვანი მოქალაქეები, რომელთა სახელზე ამ დრომდე არ იყო გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი; ასევე, არასრულწლოვანი მოქალაქეები, რომელთაც აქციის დასრულებამდე, 1 ოქტომბრამდე, უსრულდებათ 18 წელი; მოქალაქეები, რომელთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოსურათები გამოუსადეგარია (უხარისხოა), ან არ ინახება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

გარდა ამისა, პირადობის მოწმობას უფასოდ აიღებენ: რეგისტრაციიდან მოხსნილი პირები, თუ ისინი დარეგისტრირდებიან კორექტულ მისამართზე; მისამართის გარეშე რეგისტრირებული მოქალაქეები, თუ ისინი გაივლიან რეგისტრაციას კორექტულ მისამართზე; მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ იურიდიული ძალის მქონე არც ერთი დოკუმენტი; ის პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არ ფლობენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს; ამასთან, გაუქმებული აქვთ პირადობის მოწმობა“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

უწყების ცნობითვე, დოკუმენტის გაცემისას მოქალაქეები გათავისუფლდებიან როგორც პირადობის მოწმობის, ისე ფოტოსურათის გადაღების საფასურისგან. აქციით სარგებლობა პირს მხოლოდ ერთხელ შეუძლია.

აქციით სარგებლობის მსურველებმა იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ.

რა შემოსავალი აქვს მთავრობის დაფუძნებულ „მოსავლის მართვის კომპანიას“

სეტყვით დაზიანებულ ყურძენს სახელმწიფო საწარმო – „მოსავლის მართვის კომპანია“ იბარებს. 29 აგვისტოს მონაცემებით, კომპანიამ 1200 ტონამდე სეტყვით დაზიანებული ყურძენი გადაამუშავა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სეტყვის შედეგად დაზიანებული ყურძნის ჩაბარებას მევენახეები 3 სექტემბრის ჩათვლით შეძლებენ: 1 კგ რქაწითელს 0,80 ლარად და 1 კგ საფერავს – 1 ლარად. ყურძენი ღვინის საწარმოებს 300-მდე მევენახემ ჩააბარა.

მევენახეები, რომლებსაც სეტყვამ 100%-ით გაუნადგურა მოსავალი, ერთჯერადი კომპენსაციის სახით თითოეულ 1 ჰექტარ ფართობზე 3000 ლარს მიიღებენ, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რა შემოსავალი აქვს და როგორია „მოსავლის მართვის კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობა. 2020 წლის ანგარიშგების მიხედვით, საწარმოს აქტივები შეადგენდა 21 106 597 ლარს, მარაგები 12 483 910 ლარს, კაპიტალი კი 8 415 340 ლარს. საანგარიშო პერიოდში „მოსავლის მართვის კომპანიამ“ 8 492 000 ლარის სუბსიდია მიიღო, შესაბამისად, საერთო მოგებაც ამ მოცულობის იყო.

ამასთან, 2020 წელს სახელმწიფო საწარმოს ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 76 660 ლარი შეადგინა, აქედან, საკანცელარიო საქონელზე დახარჯა 320 ლარი; ხელფასებზე – 6 225 ლარი; მივლინებებზე – 4 990 ლარი; საპენსიოზე – 7 456 ლარი. სხვა ხარჯებმა კი 2 309 ლარი შეადგინა. ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, შარშან სახელმწიფო საწარმოს წმინდა მოგებამ 8 415 340 ლარი შეადგინა.

ცნობისათვის, სახელმწიფო საწარმო – „მოსავლის მართვის კომპანია“ 2020 წლის აგვისტოს დაფუძნდა. მესაკუთრე არის სსიპ-ი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, 100%-იანი წილის მმართველი კი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სოფლის განვითარების სააგენტო. საწარმოს დირექტორია პაატა ჭავჭანიძე.

თბილისში 6 წლის ბავშვი კოვიდ-19-ით გარდაიცვალა

თბილისში, ციციშვილის კლინიკაში, კორონავირუსით 6 წლის ბავშვი გარდაიცვალა. ინფორმაცია „რუსთავი 2-ს“ კლინიკაში დაუდასტურეს.

როგორც კლინიკაში აცხადებენ, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო და ის რეანიმაციაში იმყოფებოდა.

შემთხვევა გუშინ, 30 აგვისტოს, მოხდა.

ამასთან, როგორც კლინიკაში აცხადებენ, ბავშვს ჰქონდა ბავშვთა ცერებრალური დამბლა, ეპილეფსიური სინდრომი, განუვითარდა სეპტიკური შოკი.

„მკვლელობით მემუქრებოდა“

თბილისში ტრანსგენდერ ქალს ტაქსის მძღოლმა სცემა

თბილისში ტრანსგენდერ ქალს სცემეს.

შემთხვევა გუშინ, 30 აგვისტოს, დილას მოხდა. ქალზე ტაქსის მძღოლმა იძალადა. არსებული ინფორმაციით, მანქანაში მგზავრს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კარი ჩაუკეტა და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცა. ქალთან ერთად იმყოფებოდა მისი მეგობარი, რომელმაც გაქცევა მოახერხა.

– გადმომიყვანა მანქანიდან, დამარტყა ხელი სახის არეში, მომაყენა დიდი ფიზიკური შეურაცხყოფა, მემუქრებოდა მკვლელობით, – ამბობს ტრანსგენდერი ქალი.

ტრანსგენდერი ქალი პოლიციაში უკვე გამოიკითხა, მისი თქმით, დამნაშავის იდენტიფიცირება შეუძლია.

ზურაბ შევარდნაძე: „არ მიეწიეთ სახლამდე ცოცხალი!“

გარდენიას საქმე შსს-ს გადაეცა

შრომის ინსპექციის სამსახურმა „გარდენიაში“ განმეორებითი სოციალური ღონისძიება დააფიქსირა და ობიექტი დალუქა.

საქმე სისხლის სამართლის ნიშნების შესაძლო არსებობის გამო უკვე გადაეცა შსს-ს.

შრომის ინსპექციის ინფორმაციით, კანონდამრღვევი უწყების თანამშრომლების მიმართ აგრესიით გამოირჩეოდა. პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინსპექტორებს მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გარდენიაში მდებარე რესტორანში, რომელიც ინსპექციამ დალუქა, ისევ სოციალური ღონისძიება იმართებოდა.

– დიდი მადლობა, რომ ზედმიწევნით ასრულებთ თქვენს მოვალეობას, არ მიეწიეთ სახლამდე ცოცხალი! – მიმართა ზურაბ შევარდნაძემ ინსპექტორებს.

ასპინძელი ბექა ლონდარიძე უკანასკნელ გზაზე ბაიკებით გააცილეს

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაცვლილი ბექა ლონდარიძე 29 აგვისტოს დაკრძალეს. მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა ის უკანასკნელ გზაზე ბაიკებით გააცილეს. 27 აგვისტოს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ასპინძელი ძმებიდან ერთი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი დაშავდა. შემთხვევა თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მოხდა. როგორც ახლობლები ჰყვებიან, ძმები მოტოციკლით მიდიოდნენ, როდესაც მათ ავტომობილი დაეჯახა.

ბაიკზე დამაგრებულმა გოუ პრომ ასპინძელი ძმების – ნიკა და ბექა ლონდარიძეების – ავტოსაგზაო შემთხვევის კადრები გადაიღო.

27 წლის ბექა ლონდარიძე ადგილზე გარდაიცვალა, მისი ძმა – 28 წლის ნიკა ლონდარიძე კი ამ დრომდე კლინიკაშია მოთავსებული და მკურნალობას განაგრძობს. მედიკოსთა განმარტებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სუსი: „ვაგნერთან“ დაკავშირებული რუსეთის მოქალაქე საქართველოში არ იმყოფება“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოში რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერთან“ დაკავშირებული რუსეთის მოქალაქის ყოფნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და აცხადებს, რომ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება.

„გვსურს გამოვეხმაუროთ ბოლო დღეების განმავლობაში გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოში რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერთან“ დაკავშირებული რუსეთის მოქალაქის ყოფნის შესახებ, ასევე, საქართველოში კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერთან“ დაკავშირებული კომპანიის საქმიანობის შესახებ.

ცალსახად ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, საქართველოში არ იმყოფება კერძო სამხედრო კომპანიასთან დაკავშირებული რუსეთის მოქალაქე პირი და ბოლო წლების განმავლობაში მისი გადაადგილება საზღვარზე არ ფიქსირდება.

ასევე, კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს რუსულ კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“, ან ნებისმიერი სახით საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საქართველოში არ ფუნქციონირებს და მსგავსი საქმიანობა აყვანილია კონტროლზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ.

ამავე კონტექსტში გავრცელდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს შესაძლო მოქალაქეების შესახებ, რომლებიც ასევე შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყვნენ კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერთან“ ან სხვა გასამხედროებულ დანაყოფებთან.

ცალსახად ვაცხადებთ, რომ დასახელებული პირების აბსოლუტური უმრავლესობა დაკავშირებულია აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმთან და ისინი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ იმყოფებიან. ის პირები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმთან და შესაძლოა ფლობდნენ საქართველოს მოქალაქეობას, ბოლო ათი წელია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არ ფიქსირდებიან.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირი ჩამოთვლილთაგან შეეცდება ან გადმოკვეთს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიას, მათ მიმართ გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

აღნიშნული პირების შესახებ ინფორმაცია სპეცსამსახურებისა და შემდგომ მედიისთვის ხელმისაწვდომი ხდება გარკვეული პერიოდულობით. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა აღნიშნული პირი 2019 წლიდან შესაბამის კონტროლზე დააყენა. იგი არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და ვერც მომავალში ვერ შეძლებს საქართველოში შემოსვლას.

აღნიშნულ დაჯგუფებასთან დაკავშირებული პირები არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახერხებენ შეღწევას. მას შემდეგ, რაც ხდება მათი იდენტიფიცირება, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

2019 წელს აღნიშნულ პირთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიიღო ინფორმაცია და აღნიშნულმა პირმა დატოვა ტერიტორია.

ცალსახად ვაცხადებთ, რომ მის სახელთან დაკავშირებული კომპანია საქართველოში არ ფუნქციონირებს. მას არ აქვს საგადასახადო ანგარიშსწორება საქართველოს ბიუჯეტთან, არ აქვს ოფიციალური მისამართი, არ ჰყავს თანამშრომლები, შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა ბოლო პერიოდის განმავლობაში, წარმოადგენს მიზანმიმართულ დისკრედიტაციის მცდელობას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ. მსგავსი დეზინფორმაცია, სამწუხაროდ, მოსახლეობაში იწვევს დაუცველობის განცდას, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვერ აიდენტიფიცირებს პირებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სამხედრო კომპანია „ვაგნერთან“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება“ – ნათქვამია სუს-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ადვოკატი: „ზურაბ ზვიადაურს კლინიკაში გადაყვანა შეიძლება დასჭირდეს“

სოფელ წინანდლის ტყეში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებული ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურის ადვოკატის, მაგდა კოტრიკაძის განცხადებით, სამედიცინო დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი, საჭიროებს თუ არა ზვიადაური კლინიკაში გადაყვანას და იქ მკურნალობას.როგორც ადვოკატმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სამედიცინო დასკვნა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე ზვიადაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

– დღეს მოვინახულე ზვიადაური. მედიკამენტებზეა დამოკიდებული. ამ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. მას ხერხემალზე აქვს თიაქარი, ქირურგიული ოპერაცია სამჯერ აქვს ჩატარებული.

ველოდებით სამედიცინო დასკვნას. ამის შემდეგ გადაწყდება მკურნალობის სტრატეგია. შეიძლება დასჭირდეს ჰოსპიტალიზაცია, შეიძლება არ დასჭირდეს, დასკვნას ველოდებით. არ გამოვრიცხავ, რომ დასჭირდეს. დასკვნა უახლოეს დღეებში იქნება ცნობილი, – განაცხადა ადვოკატმა.

შეგახსენებთ, წინანდალში 16 აგვისტოს 3 ადამიანი მოკლეს, მათ შორის ერთი ოლიმპიური ჩემპიონის ზურაბ ზვიადაურის ძმა, ზვიად ზვიადაური. შსს-მ ორი პირი დააკავა. ზურაბ ზვიადაური ერთი ადამიანის განზრახ მკვლელობის ბრალდებითაა დაკავებული, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის ბრალდებით, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, 1977 წელს დაბადებული ჯაბა ჯანგირაშვილი დააკავეს. შსს-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ზვიადაურმა იმ მამაკაცს ესროლა, რომელმაც გასროლა მისი ძმის და რამდენიმე პირის მიმართულებით განახორციელა. ზვიადაურს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

შრომის ინსპექციამ 5 ობიექტი დალუქა, 4 კი დააჯარიმა

ბოლო დღე-ღამის განმავლობაში შრომის ინსპექციამ 5 ობიექტი დალუქა, ხოლო 4 – დააჯარიმა. როგორც უწყებაში აღნიშნავენ, მათგან სამ იურიდიულ პირს 10.000 ლარი, ხოლო ერთ ფიზიკურ პირს 2.000 ლარის სანქცია დაეკისრა.

„შრომის ინსპექციის სამსახურმა ზომები ბიზნესობიექტებზე დაფიქსირებული ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების კრიტიკული შეუსაბამობების გამო მიიღო. ამ დროისთვის, მთავარ გამოწვევად კვლავ სოციალური და გასართობი ღონისძიებები რჩება. ორი კვირის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, რეგულაციების დარღვევისთვის 25 ობიექტი დაილუქა. დაჯარიმდა 45 ბიზნესოპერატორი. მათ შორის, 28 იურიდიული და 17 ფიზიკური პირი. შრომის ინსპექციის სამსახური დაწესებული შეზღუდვების აღსრულებაზე ზედამხედველობას მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს.

პროცესში ინსპექციასთან ერთად, შემოსავლების, სურსათის უვნებლობის, ადგილობრივი მუნიციპალური საზედამხედველო სამსახურები, ასევე, მუნიციპალური ინსპექცია, შსს-ს კრიმინალური და საპატრულო პოლიციაა ჩართული“ – აღნიშნავენ უწყებაში.

„შოკშია კალაბრიის ქართველობა“

იტალიაში ქართველი ემიგრანტი ლიანა ნათბილაძე გარდაიცვალა

იტალიაში ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზად კოვიდვირუსი სახელდება.

გარდაცვლილი ემიგრანტი ლიანა ნათბილაძე იტალიის რეგიონში, კალაბრიაში იმყოფებოდა – ამის შესახებ ინფორმაციას ემიგრანტთა საინფორმაციო პლატფორმა ავრცელებს.

„ქალბატონი, რომელიც დაიკლდება ქალაქს. ქალბატონი ლიანა, რომლის მხოლოდ სახელი მესმოდა და მისი ნაცნობობის ბედნიერება არ მქონია, სამუდამოდ ემშვიდობება თავის საყვარელ ქალაქს – რეჯოს.

ის ერთ-ერთი პირველთაგანი ქართველი იყო, რომელმაც ფეხი დაადგა კალაბრიის მიწას.

მასზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობდნენ. როგორ დაგვწყვიტე ყველას გული. შოკშია კალაბრიის ქართველობა. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მის მეგობრებს, მთელ ქალაქს.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა ქალბატონო ლიანა“ – წერს ერთ-ერთი ფეისბუკ მომხმარებელი.

ლიანა ნათბილაძე ემიგრაციაში 20 წლის მანძილზე იმყოფებოდა.

გორის კეთილმოწყობის სააგენტოში ფინანსური პოლიცია შევიდა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური გორის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საბიუჯეტო ორგანიზაციაში, კეთილმოწყობის სააგენტოში, შევიდა.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, საგამოძიებო უწყება ფინანსურ დოკუმენტაციას სწავლობს და თანამშრომლებს გამოკითხვაზე ერთმანეთის მიყოლებით იბარებს.

საგამოძიებო უწყება ე.წ. მკვდარ სულებს ანუ იმ ადამიანებს ეძებს, რომლებიც საბიუჯეტო ორგანიზაციაში ფორმალურად არიან დასაქმებულები, სამსახურში არ დადიან, არაფერს აკეთებენ, მაგრამ ხელფასს იღებენ.

სააგენტოს ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ ფინანსური მათ ააიპში შევიდა და დოკუმენტაცია ამოიღო, თუმცა დეტალებზე არ საუბრობენ.

სკუტერი ზღვიდან ამოჰყავდა და დენმა დაარტყა

შეკვეთილში ლადო გოგუა გარდაიცვალა

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა შეკვეთილში. 22 წლის ლადო გოგუას, რომელიც შეკვეთილში დასასვენებლად იმყოფებოდა, ზღვიდან სკუტერის ამოყვანის დროს დენმა დაარტყა. ამის შედეგად ლადო გოგუა გარდაიცვალა.

მას რამდენიმე პირთან ერთად სკუტერი სპეციალური ელექტრომოწყობილობით ზღვიდან ამოჰყავდა, როდესაც წყალში მყოფ ახალგაზრდას დენმა დაარტყა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 116-ე მუხლით დაიწყო, რაც სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით გულისხმობს.

ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა.

თორნიკე ფიფიას ანაკლიაში ზღვაში გული გაუჩერდა

29 აგვისტოს მამაკაცი ანაკლიაში ზღვაში შესვლის შემდეგ გარდაიცვალა. გარდაცვლილი 66 წლის თორნიკე ფიფიაა.

თორნიკე ფიფია ოჯახთან ერთად მოსკოვიდან იყო ჩამოსული და ანაკლიაში ისვენებდა.

მამაკაცს წყალში შესვლის შემდეგ გული გაუჩერდა. ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

„ჩემი უსაყვარლესი ბიძია, ღმერთმა ნათელში გამყოფოს. ვერ ვიჯერებ, სიკვდილისთვის ჩამოხვედი?“ – წერს სოციალურ ქსელში გარდაცვლილის ახლობელი სალომე ფაცაცია.

თორნიკე ფიფია 3 სექტემბერს გეგმავდა ქვეყნის დატოვებას და მოსკოვში დაბრუნებას.

მას მეუღლე და 2 შვილი დარჩა.

ნაფტალი ბენეტი: „ისრაელის ყველა მოქალაქე ფაიზერის მე-3 დოზით უნდა ავცრათ!“

ისრაელი „ფაიზერის“ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის ე.წ. „ბუსტერ“ დოზას 12 წლის ასაკის ზემოთ ყველა ვაქცინირებულ პირს სთავაზობს.



ქვეყნის ჯანდაცვის სფეროს ოფიციალურმა პირებმა ონლაინ რეჟიმში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ ვაქცინის პირველი ორი დოზის ეფექტი სუსტდება 5 თვის შემდეგ და ადამიანებმა, რომლებიც 5 თვის წინ აიცრნენ, დამატებითი, მესამე დოზა უნდა მიიღონ.

ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, იმ მოქალაქეების 90 პროცენტს, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნიდან ისრაელში დაბრუნების შემდეგ კორონავირუსი დაუდასტურდათ, აცრა 5 თვეზე მეტი ხნის წინ ჰქონდათ გაკეთებული.

– მესამე დოზა გვაძლევს დაცვის იმ დონეს, რომელიც მეორე დოზით აცრის შემდეგ მიიღწევა. ეს ნიშნავს, რომ მესამე დოზის მიღებით ადამიანები 10-ჯერ უფრო დაცული ხდებიან, – განაცხადა ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელმა შერონ ალროი-პრეისმა.

ისრაელმა „ბუსტერ“ დოზის შეთავაზება დაახლოებით ერთი თვის წინ დაიწყო. მისი მიღების შესაძლებლობა თავდაპირველად 60 წლის ზემოთ ასაკის ადამიანებისთვის იყო ხელმისაწვდომი, შემდეგ კი ეს ასაკობრივი ზღვარი თანდათან შეამცირეს.

ბოლო მონაცემებით, ისრაელში, რომლის მოსახლეობა 9.3 მილიონს შეადგენს, მესამე დოზით 2 მილიონამდე ადამიანია აცრილი.

– უკვე გვაქვს შედეგები: მძიმე ავადობის ზრდა შენელდა, მაგრამ მესამე დოზით ყველა ჩვენი მოქალაქე უნდა ავცრათ. მოვუწოდებ 12 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ გაიკეთონ მესამე დოზა, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნაფტალი ბენეტმა.

ბაიდენისა და ზელენსკის შეხვედრა თეთრ სახლში 1 სექტემბერს გაიმართება

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი უკრაინელ კოლეგას, ვლადიმერ ზელენსკის ოთხშაბათს თეთრ სახლში შეხვდება.

ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლი ავრცელებს.

„ეს ვიზიტი დაადასტურებს შეერთებული შტატების ურყევ მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი რუსეთის აგრესიის ფონზე“ – ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ლიდერები ასევე განიხილავენ ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხს და თეთრი სახლის მხარდაჭერას კორუფციის დაძლევასა და რეფორმის დღის წესრიგის განხორციელებაში პრეზიდენტ ზელენსკის ძალისხმევის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა დაგეგმილზე ორი დღით გვიან იმართება, რისი მიზეზიც გახდა ის, რომ ჯო ბაიდენი დაკავებულია აშშ-ში ქარიშხალ „იდას“ შედეგების გამკლავებისა და ავღანეთიდან აშშ-ის ძალების გაყვანის პროცესების კონტროლით.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დაქვრივებულმა მამაკაცმა სახლის დალაგების დროს მკვდარი ბავშვები აღმოაჩინა

საფრანგეთის სარტას დეპარტამენტის მეზრეს კომუნას მკვიდრმა მამაკაცმა საკუთარ სახლში მკვდარი ბავშვები აღმოაჩინა.

23 აგვისტოს 41 წლის მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, თავისი 44 წლის მეუღლის კიბოსგან მოულოდნელი გარდაცვალებიდან ორ კვირაში სახლის საგულდაგულოდ დალაგება გადაწყვიტა. მან მოისურვა ავტოფარეხში კარადა დაეშალა, ის გახსნა და მასში ბავშვის გახრწნილი სხეული აღმოაჩინა. მამაკაცმა იმ წამსვე პოლიციას შეატყობინა.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა კიდევ ორი ბავშვის ცხედარს მიაგნეს სარდაფის კარადაში. იქვე ეგდო ორი დანა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხედრები პოლიეთილენის პარკებში იყო შენახული და ტანსაცმელში შეხვეული. ცხედრების ცუდი მდგომარეობის გამო გაურკვეველია, ისინი ახალშობილები თუ ემბრიონები იყვნენ. სავარაუდოდ, ყველა ბავშვი სხვადასხვა დროს დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილს ქორწინებაში შვილი არ შესძენია, თუმცა ქალს ორი ბავშვი ჰყავდა პირველი ქორწინებიდან. პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო.

თევზმა მოკლა მეთევზე, რომელიც მასზე ჰარპუნით ნადირობდა

ფილიპინების პროვინცია აღმოსავლეთ ნეგროსში თევზმა მოკლა მეთევზე, რომელიც მის მონადირებას ჰარპუნით ცდილობდა.

31 წლის ჯოვანი ბალდადო ნარცისო ტბაზე ჰარპუნით სათევზაოდ წავიდა. მან თევზს ჰარპუნი ესროლა, მაგრამ მან ქვებს შორის გაცურა. ამის გამო ჰარპუნზე გამობმული თოკი მეთევზეს ფეხებზე შემოეხვია და წყლის ქვეშ ჩაითრია. ვარდნის დროს მამაკაცმა თავი ქვას დაარტყა.

ხუთკილოგრამიანი თევზი ქვებს შორის ჩაიმალა. მამაკაცი მის გამოყვანას ცდილობდა, მაგრამ ამის გაკეთება, თავის განთავისუფლება და წყლის ზედაპირზე ამოსვლა ვეღარ მოახერხა. შედეგად ის დაიხრჩო.

– მამაკაცის გაუჩინარებით შეწუხებულმა ნათესავებმა მეორე დილით მოგვმართეს. სამძებრო სამუშაოები ჩავატარეთ და ცხედარს მივაგენით, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ როდესაც ნარცისო იპოვეს, მას თოკი ისევ შემოხვეული ჰქონდა სხეულზე, ხოლო მისი ნადავლი, ასევე მკვდარი ჰარპუნ გაყრილი თევზი, ქვებს შორის იყო გაჭედილი. ადგილობრივებმა თევზი, რომელმაც მამაკაცი იმსხვერპლა, ბოროტ სულად გამოაცხადეს.

ქალმა, მიუხედავად 1000 გაკვეთილისა, მაინც ვერ შეძლო მართვის მოწმობის აღება

47 წლის ბრიტანელი ქალი 30 წელი ცდილობდა მანქანის მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის ჩაბარებას, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხა მისი აღება.

იზაბელ სტედმანი ავტომობილის საჭეს პირველად 17 წლის ასაკში მიუჯდა. მას შემდეგ ის მანქანის მართვის 1000-ზე მეტ გაკვეთილს დაესწრო, მაგრამ ვერაფრით მოახერხა გამოცდის ჩაბარება. მისი წარუმატებლობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალიან ნერვიულობს გზაჯვარედინზე წრიული მოძრაობის დროს და ზოგჯერ შიშისგან გონებასაც კი კარგავს. ერთი ასეთი შემთხვევის დროს ინსტრუქტორს მოუხდა საჭისთვის ხელი ეტაცა, ავარია რომ თავიდან აეცილებინა.

30 წლის განმავლობაში სტედმანმა 10 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა მანქანის მართვის ინსტრუქტორებზე, მაგრამ სტრესთან გამკლავება მაინც ვერ მოახერხა.

– არ ვიცი, ეს რატომ ხდება. ყოველ ჯერზე ისე ვნერვიულობ, რომ ჩემი ტვინი რამდენიმე წამით ითიშება, – განაცხადა ქალმა.

ამ ყოველივეს მიუხედავად, სტედმანი იმედს არ კარგავს, რომ ავტომობილის მართვის უფლებას მიიღებს.

ტურისტებმა ვიდეოზე გადაიღეს კამეჩებზე მტაცებლების თავდასხმა

ზამბიის ეროვნულ პარკ ქვედა ზამბეზიში ტურისტები გიენისებური ძაღლების ხროვის კამეჩებზე თავდასხმის თვითმხილველები გახდნენ. ერთ-ერთი მათგანის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

მტაცებლებმა მოახერხეს გამკლავებოდნენ მოზრდილ მდედრ კამეჩს. 37 წლის გიდის მარკ ნიკოლსონის თქმით, ასეთი შედეგი უკიდურეს იშვიათობას და თითქმის წარმოუდგენელ მოვლენას წარმოადგენს.

– 16 წელია ამ სფეროში ვმუშაობ და მსგავსი რამ აქამდე არასოდეს მინახავს, – ამტკიცებს ის.

მისი თქმით, მას მრავალჯერ უდევნებია თვალი ამ ხროვისთვის. ყოველდღე, დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე, ისინი სანადიროდ მიდიან. ზოგჯერ ისინი კამეჩების ნახირს გადაეყრებიან, თუმცა ასეთი მსხვილი ნადავლი მათ შესაძლებლობებს აღემატება. ნიკოლსონის მტკიცებით, ამ დრომდე ისინი ახალგაზრდა ან დასუსტებული კამეჩის მონადირებასაც კი ვერ ახერხებდნენ.

ამჯერად გიენისებურმა ძაღლებმა კამეჩების ნახირის ტყეში შერეკვა მოახერხეს, იქ კი ისინი განმარტოვებით მყოფ კამეჩს თავს დაესხნენ და ფეხებსა და სხეულის უკანა ნაწილებზე კბენა დაუწყეს.

– ზოგიერთი კამეჩი მის დახმარებას და მტაცებლების გაყრას შეეცადა, მაგრამ რამდენიმე ძაღლი მათ იგერიებდა და გაქცევას აიძულებდა, ამით კი სხვებს კამეჩთან გასწორების საშუალებას აძლევდნენ, – განაცხადა ნიკოლსონმა.

კიბოს ორჯერ დამმარცხებელი ქალი პალმის დაცემამ იმსხვერპლა

63 წლის ანა რიმბურგი, რომელმაც ორჯერ დაამარცხა კიბო, ისრაელის ქალაქ ტვერიაში პალმის მოგლეჯილი ნაწილის დაცემის შედეგად დაიღუპა. ამ ინფორმაციას ისრაელის ახალი ამბების ერთ-ერთი პორტალი ავრცელებს.

დაღუპული ქალის შვილმა დევიდმა განაცხადა, რომ ინციდენტის დღეს ის დედამისთან და მამასთან ერთად ბიძაშვილის ქორწილში იმყოფებოდნენ.

– ჩემმა მშობლებმა და ძმამ ტვერიის სანაპიროზე გაისეირნეს, ძველ სინაგოგაში მივიდნენ და მას გარს შემოუარეს, მოულოდნელად ხის ნაწილი მას დაეცა და მოკლა, – განაცხადა დევიდმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტის დროს ქალაქში საათში 70 კილომეტრამდე სიჩქარის ქარი დაფიქსირდა. სასწრაფო დახმარების ექიმის თქმით, ხის ნაწილი ქალს სწორედ ძლიერი ქარის გამო დაეცა.

101 კილოგრამიანმა გოგონამ წონაში 36 კილოგრამი დაიკლო

კანადის ქალაქ მონრეალის მცხოვრებმა გოგონამ, რომელიც 101 კილოგრამს იწონიდა, ათ თვეში წონაში 36 კილოგრამი დაიკლო.

23 წლის იზაბელ ოდეტს ბავშვობიდან სტანჯავდა ზედმეტი წონის პრობლემა. ის თითქმის ყოველდღე სადილობდა და ვახშმობდა ფასტფუდით. 2016 წელს სასწორზე აწონის დროს ისარმა 101 კილოგრამის ნიშნულს მიაღწია. ოდეტი მაშინ ესპანეთში მალიორკაზე გაემგზავრა დასასვენებლად. პლაჟზე გოგონა ზედმეტი წონის გამო თავს არაკომფორტულად გრძნობდა. კანადაში დაბრუნების შემდეგ კი ჯანმრთელობის და მომავალი ბედნიერებისთვის გახდომა გადაწყვიტა.

გოგონამ ბურგერები, კარტოფილი ფრი და კოლა ბოსტნეულით, ხილით, მჭლე ხორცით და წყლით ჩაანაცვლა. ასევე კვირაში ხუთ დღეს ვარჯიშობდა. ათ თვეში მან წონაში 36 კილოგრამის დაკლება მოახერხა.

ის იმდენად გახდა დამოკიდებული დიეტაზე, რომ სტუმრად წასვლის დროსაც თან მიჰქონდა თავისი საჭმელი, რომ იქ არაჯანსაღი საკვები არ მიეღო. წონაში დაკლების შემდეგ ის გაცილებით ენერგიული და თავდაჯერებული გახდა.

მამაკაცმა სოციალურ ქსელში თავისი პირველი სიყვარული იპოვა და ერთ წელიწადში იქორწინა

შეყვარებულებმა, რომლებსაც ერთმანეთი ჭაბუკობის შემდეგ აღარ ენახათ, ერთმანეთი სოციალურ ქსელში 36-წლიანი განშორების შემდეგ იპოვეს და დაქორწინდნენ.

როლანდ და ლიზა ლოლერებმა ერთმანეთი სამხრეთ უელსში, კუნძულ ბარიზე საზაფხულო სამუშაოების დროს გაიცნეს. გოგონა, რომელიც იმ დროს 18 წლის იყო, ოფიციანტად მუშაობდა, ხოლო 20 წლის როლანდი მზარეულად. მათ ერთმანეთი პირველივე ნახვით შეუყვარდათ. ოთხი თვე ერთად გაატარეს, შემდეგ კი სახლებში დაბრუნდნენ. ლიზა მშობლიურ სოფელში, ინგლისის ჩეშირის საგრაფოში დაბრუნდა, როლანდი კი ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ ბერნლიში.

მიუხედავად დაშორებისა, შეყვარებულები ერთად ცხოვრებაზე ოცნებას აგრძელებდნენ და ერთმანეთს სასიყვარულო წერილებს უგზავნიდნენ. მიმოწერა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეწყდა, როდესაც როლანდი ჯარში გაიწვიეს. თუმცა, ამავე დროს, მამაკაცს შეყვარებული არასოდეს დავიწყებია და გოგონას სურათს ყოველთვის თან დაატარებდა იმ 13 წლის მანძილზე, როდესაც მას ფაქტიურად მთელი მსოფლიოს მოვლა მოუხდა.

მოგვიანებით როლანდმა სხვაზე იქორწინა, მათ ბიჭი შეეძინათ, თუმცა 14 წლის შემდეგ ისინი ერთმანეთს სკანდალით დაშორდნენ. ლიზაც იყო გათხოვილი, ორი ბავშვი ეყოლა, რამდენიმე წლის წინ კი მეუღლეს თავისი ინიციატივით დაშორდა.

2020 წლის აგვისტოში როლანდმა თავის პირველ სიყვარულს ფეისბუქში მიაგნო. ხუთი დღის შემდეგ კი ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და მიხვდნენ, რომ ჯერ ისევ უყვარდათ ერთმანეთი. ახალი წლის წინ კი როლანდმა ლიზის ხელი სთხოვა და მიმდინარე ზაფხულის ბოლოს წყვილმა თავიანთი პირველი შეხვედრის ადგილიდან 25 კილომეტრში იქორწინა.

მამაკაცი 30 წელი ერთი და იმავე ციფრებით თამაშობდა და გამილიონერდა



ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ პრუდენვილის მცხოვრები 30 წელი ლატარიაში სათამაშოდ ერთსა და იმავე ციფრებს იყენებდა და საბოლოოდ ჯეკპოტი 18,4 მილიონი დოლარი მოხსნა.

61 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ლატარიის ბილეთებში ერთსა და იმავე ციფრებს 1991 წლიდან იყენებდა. მორიგი გათამაშების შედეგად ლოტოტრონში ყველა ამოსული ციფრი მის მიერ მითითებულებს დაემთხვა.

– რამდენჯერმე გავიფიქრე, რომ სხვა ციფრებით მეცადა ბედი, თუმცა ყოველ ჯერზე კვლავაც მათ ვიყენებდი, – აღნიშნა ამერიკელმა.

მისი თქმით, გათამაშების შედეგები დასაძინებლად დაწოლის წინ შეამოწმა და როდესაც მისი ციფრები დაინახა, გაოგნებული დარჩა.

– ბილეთი ათჯერ მაინც გადავამოწმე, – დაამატა მამაკაცმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მოგებული თანხის ნაწილს ოჯახს გაუნაწილებს, ნაწილს ქველმოქმედებას მოახმარს, ხოლო დარჩენილ თანხას სამომავლოდ გადადებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველოს კალათბურთის ნაკრებს დღეს მეტოქეებს გაურკვევენ

დღეს, შვეიცარიაში მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მეტოქეები გაირკვევა.

შესარჩევი ტურნირის პრინციპი წინამორბედის ანალოგიურია. ფიბა-მ მსოფლიოს პირველობაზე გასასვლელი ახალი ფორმატი 2017 წელს 2019 წლის მუნდიალისთვის შემოიღო და მაშინ საქართველოს ფინალურ ეტაპზე გასვლამდე მცირედი დაკლდა. ახლა ახალი, 2-წლიანი ციკლი იწყება და საქართველოც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება.

შესარჩევ ეტაპზე ევროპიდან 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც რვა კალათში გადანაწილდებიან. მათგან 8 ნაკრებმა წინასწარი საკვალიფიკაციო წარმატებით დაძლია: სლოვაკეთი, ლატვია, ჩერნოგორია, ბელარუსი, ისლანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, პორტუგალია და შვედეთი.

დანარჩენი 24 გუნდი კი, ევრობასკეტი 2022-ის მონაწილეა, სადაც ერთ-ერთ ჯგუფს თბილისიც უმასპინძლებს:

ესპანეთი, სლოვენია, საფრანგეთი, სერბეთი, იტალია, ლიეტუვა, საბერძნეთი, გერმანია, ჩეხეთი, პოლონეთი, რუსეთი, თურქეთი, ხორვატია, უკრაინა, ფინეთი, საქართველო, ბელგია, უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ბოსნია, ნიდერლანდები, ესტონეთი, ბულგარეთი.

წილისყრის შემდეგ ეს გუნდები 8 ჯგუფში გადანაწილდებიან. 4-გუნდიანი ჯგუფებიდან, მომდევნო ეტაპზე საუკეთესო ტრიო გავა (24 გუნდი).

მე-2 ეტაპზე გასული 24 გუნდი უკვე 4 ექვსგუნდიან ჯგუფს შექმნის: ა ჯგუფის სამეული და ბ ჯგუფის სამეული, ც ჯგუფის სამეული და დ ჯგუფის სამეული, ე ჯგუფის სამეული და ფ ჯგუფის სამეული, ჯ ჯგუფის სამეული და ჰ ჯგუფის სამეული.

ახალ ჯგუფებში მანამდე ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები ერთმანეთში არ ითამაშებენ, მათ ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგები გადაჰყვებათ. შესაბამისად, თითოეულ გუნდს სხვა ჯგუფის 3 წარმომადგენელთან მოუწევს 2-2 მატჩის (შინ და სტუმრად) გამართვა. შესაბამისად, თითო გუნდი 6 შეხვედრას ჩაატარებს და საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს თითო ჯგუფის 3 საუკეთესო გუნდი (ჯამში 12) მოიპოვებს.

სანაკრებო ფანჯრები ფიბამ თვეები უკვე დაადგინა და ყოველ გუნდს თითო ფანჯარაში 2 მატჩის გამართვა მოუწევს.

პირველი ეტაპი 2021 წლის ნოემბერში დაიწყება, 2022 წლის თებერვალში მეორე ტური იქნება, ხოლო 2022 წლის ივნისში დასრულდება.

მეორე ეტაპი უკვე 2022 წლის აგვისტოში აიღებს სტარტს, იმავე წლის ნოემბერში კიდევ ერთი ტური იქნება, ხოლო საბოლოო ადგილები 2023 წლის თებერვალში გაირკვევა.

ფიბას რეიტინგის მიხედვით, საქართველო მესამე კალათაშია.

პირველი კალათა: ესპანეთი, სლოვენია, საფრანგეთი, სერბეთი, იტალია, ლიეტუვა, საბერძნეთი, გერმანია;

მე-2 კალათა: ჩეხეთი, პოლონეთი, რუსეთი, თურქეთი, ხორვატია, მონტენეგრო, ლატვია, უკრაინა;

მე-3 კალათა: ფინეთი, საქართველო, ბელგია, უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ბოსნია, ნიდერლანდები;

მე-4 კალათა: ესტონეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, ბელარუსი, ისლანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, პორტუგალია, შვედეთი.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა მზადება დაიწყო

საქართველოს 21-წლამდე ნაკრები 7 სექტემბერს, ბუქარესტში რუმინეთის 21-წლამდე ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ ორივე გუნდი 2023 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლები არიან. აქედან გამომდინარე, საკვალიფიკაციო ეტაპზე თავისუფალი არიან და სათამაშო პრაქტიკის მიღებას ამხანაგური მატჩებით ეცდებიან. ცხადია, ხელიდან არც ერთმანეთში თამაშის შესაძლებლობა გაუშვეს.

რამაზ სვანიძის გუნდმა უკვე დაიწყო საწვრთნელი შეკრება და პირველი ვარჯიშიც გამართა.

შეკრების დაწყებამდე მიღებული ტრავმის გამო, ახალგაზრდულ ნაკრებს ბექა დარცმელია და ლუკა კუტალაძე გამოაკლდნენ. ტესტირების შემდეგ, გიორგი იაკობიძეს კოვიდ-19 დაუდასტურდა და მიმდინარე შეკრებას ლოკომოტივის ფორვარდიც დააკლდება. მათ ნაცვლად, რამაზ სვანაძემ ბექა ხარაიშვილი, გურამ ჩიკაშუა და დავით სამსონია გამოიძახა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: გურამ ჩიკაშუა (ვიტ ჯორჯია), თორნიკე მეგრელიშვილი (საბურთალო), ლუკა ნანავა (კოლხეთი 1913);

მცველები: ცოტნე კაპანაძე (თელავი), თორნიკე ჯანგიძე, ლევან ხარაბაძე, სანდრო კალანდაძე (ყველა დინამო თბ), ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (კადისი, ესპანეთი), ივა გელაშვილი (სპარტა, ჩეხეთი), ზურაბ ჭავჭანიძე (რუსთავი), შოთა ნონიკაშვილი (საბურთალო), დავით სამსონია (დინამო ზ);

ნახევარმცველები: ნიკა გაგნიძე (დილა), გიორგი გოჩოლეიშვილი, ბექა ხარაიშვილი, გიორგი გულიაშვილი (ყველა საბურთალო), ანზორ მექვაბიშვილი, გიორგი მოსწირაფიშვილი (ორივე დინამო თბ), რევაზ ინჯგია (აპოლონი, კვიპროსი), ანატოლი მესიაჩენკო, გიორგი ლომთაძე (ორივე სამტრედია);

თავდამსხმელები: გიორგი გაგუა (ალავესი, ესპანეთი), შოთა შეყილაძე (თელავი).

უმედლო დღე პარალიმპიადაზე

ტოკიოში მიმდინარე პარალიმპიურ თამაშებზე აკაკი ჯინჭარაძემ პარაწოლჭიმში მე-4 ადგილი დაიკავა.

+107 კილოგრამ წონით კატეგორიის პარასპორტსმენმა 221 კილოგრამი დააფიქსირა და ბრინჯაოს მფლობელ ირანელ სამან რაზის 10 კილოთი ჩამორჩა.

აკაკიმ 3 ცდიდან მხოლოდ 2 გამოიყენა. ჯინჭარაძემ პირველ მისვლაზე 210 კგ. დააფიქსირა, მეორეზე 221 გაუცდა, რომელიც საბოლოოდ მესამე ცდაზე დაძლია.

პარასროლაში ლადო ჭინჭარაულმა საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია.

ქართველმა პარასპორსტმენმა 10 მეტრზე პნევმატურ შაშხანით ასპარეზობაში საერთო ჯამში 625,6 ქულა დააგროვა.

ჭინჭარაული ტოკიოში კიდევ 2-ჯერ იასპარეზებს. 1 სექტემბერს ქართველი პარამსროლელი 10 მეტრზე დახლზე დაყრდნობით პნევმატური შაშხანით გამოვა, ხოლო 4 სექტემბერს 50 მეტრზე ისვრის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს დელეგაციის ანგარიშზე 3 მედალია. ტოკიოს პარალიმპიადის ვერცხლის მედლები ნინო თიბილაშვილმა, ინა ქალდანმა და რევაზ ჩიკოიძემ მოიპოვეს.

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

29 აგვისტო

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲞᲘᲠᲛᲘᲠᲘᲚᲘᲒᲐ

ბარნლი-ლიდსი 1:1
ტოტენჰემი-უოტფორდი 1:0
ვულვზი-მანჩესტერი 0:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ

უნიონი-გლადბახი 2:1
ვოლფსბურგი-ლაიფციგი 1:0

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ

ვერდერი-ჰანზა 3:0
დინამო-პადერბორნი 0:3
ზ.პაული-რეგენსბურგი 2:0

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲛᲔᲠᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ბარსელონა-ხეტაფე 2:1
კადისი-ოსასუნა 2:3
რაიო-გრანადა 4:0
ატლეტიკო-ვილიარეალი 2:2

ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ამორებიეტა-ალმერია 2:1
ლუგო-ვალიადოლიდი 0:2
სოსიედადი ბ-ფუენლაბრადა 0:0

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

ჯენოა-ნაპოლი 1:2
სასუოლო-სამპდორია 0:0
მილანი-კალიარი 4:1
სალერნიტანა-რომა 0:4

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

ჩიტადელა-კროტონე 4:2
ლეჩე-კომო 1:1
მონცა-კრემონეზე 1:0
პარმა-ბენევენტო 1:0
რეჯინა-ტერნანა 3:2
სპალი-პორდენონე 5:0

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

ტრუა-მონაკო 1:2
ანჟე-რენი 2:0
კლერმონი-მეცი 2:2
ლანსი-ლორიანი 2:2
სტრასბური-ბრესტი 3:1
ლილი-მონპელიე 2:1
რეიმსი-პსჟ 0:2

ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘ. ᲔᲠᲗᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

უტრეხტი-ფეინოორდი 3:1
აიაქსი-ვიტესი 5:0
ერაკლესი-ნაიმეგენი 0:1
ჰერენვენი-ალკმაარი 1:3

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲛᲔᲠᲘ ᲚᲘ�გᲐ

ბენფიკა-ტონდელა 2:1
ბრაგა-გიმარაეში 0:0
პორტიმონენშე-ფერეირა 0:1
სანტა კლარა-ჟილ ვისენტე 1:0

ᲑᲔᲚ�გᲘᲐ. Ა ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

გენტი-ბრიუგე 6:1
ანტვერპენი-ლუვენი 2:2
გენკი-ანდერლეხტი 1:0
ოსტენდე-ვარეგემი 0:2

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ქაშიმფაშა-გალათასარაი 2:2
სივასი-გიოზთეფე 2:2
ალტაი-ფენერბახჩე 0:2
გირესუნი-ტრაბზონი 0:1

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ

ადმირა-შტურმი 1:1
აუსტრია-რაპიდი 1:1
რიდი-ლინცერი 1:0

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ. ᲞᲘᲠᲛᲔᲠᲘᲚᲘᲒᲐ

რეინჯერსი-სელტიკი 1:0
აბერდინი-როსი 1:1
სტ.მირენი-სტ.ჯონსონი 0:0

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ

ლუცერნი-ლოზანა 1:1
ბაზელი-იანგ ბოიზი 1:1
გრასჰოპერსი-სერვეტი 1:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

ბოჰემიანსი 1905-ტეპლიცე 4:2
ჰრადეც კრალოვე-პლზენი 1:0
სიგმა-იაბლონეცი 4:0
კარვინა-სლავია 3:3

ᲞᲝᲠᲢᲣᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲘᲐᲯᲔᲚᲐᲡ

პლოკიკი-ჩენსტოხოვა 1:1
ზაგლებიე-სლასკი 1:3
ვისლა-ლეგია 1:0

ᲣᲜ�გᲠᲘᲗᲘ. 1 ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

დირმოტი-პუშ.აკადემია 0:1
პაკში-უიპეშტი 2:1

ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ. ᲞᲘᲠᲛᲔᲠᲘᲚᲘᲒᲐ

დესნა-ვერესი 0:4
მინაი-შახტარი 1:1
ზორია-ვორსკლა 1:0
რუხი-ლვოვი 1:0

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ

სონდერიისკე-ვიბორგი 2:2
სილკებორგი-რანდერსი 2:1
ვაილე-კოპენჰაგენი 0:4
ორხუსი-ოდენსე 2:2
ბრონდბიუ-მიდტიულანდი 2:0

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ. ᲐᲚᲡᲕᲔᲜᲡᲯᲐ

ნორჩიოპინგი-ესტერსტუნდი 3:0
სირიუსი-დიურგარდენი 1:0
ჰაკენი-გიოტებორგი 3:2
კალმარი-ეფსბორგი 0:3
ჰამარბი-მალმიო 2:1

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ. ᲔᲠᲘᲢᲡᲔᲠᲘᲐ

ვიკინგი-რუსენბორგი 2:1
კრისტიანსუნდი-მიოლდე 2:0
ოდ გრელანდი-სტრომგოდსეტი .. 0:1
სარპსბორგი-სანდერფიორდი 5:0
ტრომსო-ბოდო გლიმტი 2:3
ვალერენგა-სტაბეკი 3:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რონალდუ მანჩესტერში ტიტულებს და ფინანსურ მოგებას უმიზნებს

კრიშტიანუ რონალდუს მანჩესტერ იუნაიტედში გადასვლას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი აზრია და, ცხადია, ყველა საკუთარ შეხედულებას გამოთქვამს.

მაგალითად, როი კინი ფიქრობს, რომ რონალდუ თავის ახალ-ყოფილ გუნდს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულს ვერ მოაგებინებს. მანკუნიანელთა დიდი კაპიტანი ამბობს, რომ ოლე გუნარ სოლსკიაერმა მიზნად ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასების მოგება უნდა დაისახოს და არა ჩემპიონობა.

როი კინი:

– ვფიქრობ, რონალდუს დაბრუნება იუნაიტედისთვის, ფანებისა და მთლიანად პრემიერლიგისთვის ძალიან კარგი ამბავია. წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ რონი დღესაც მსოფლიო კლასის ფეხბურთელია. გარდა ამისა, ჭკვიანი ბიჭია. იცის, რას აკეთებს და იუნაიტედში ჯილდოს მოსაგებად გადმოვიდა.

სხვა საქმეა, რომ, ჩემი აზრით, რონალდუ გუნდს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულს ვერ მოაგებინებს, რადგან მისით თუ მის გარეშე, გუნდს ისევ ის პრობლემები აქვს. აი, ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასების მოგება კი, შესაძლებელია.

რასაკვირველია, პირადად მას მეტი ამბიცია ექნება და გუნდში გამარჯვებულის მენტალიტეტს მოიტანს. ბევრ პლუსს ვხედავ. რად უნდა ლაპარაკი, რომ რონალდუსთან ერთად გუნდი უფრო ძლიერად ათამაშდება, მაგრამ ფართე გაგებით სურათს მაინც ვერ შეცვლის. არ მგონია, რომ იუნაიტედმა ტიტულის მოგება შეძლოს“.

მანჩესტერ იუნაიტედის კიდევ ერთი ვარსკვლავი გარი ნევილიც ყოფილი თანაგუნდელის აზრზეა:

– რასაკვირველია, რონალდუსთან ერთად გუნდი ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს. ტიტულს თუ მოიგებს? ალბათ, ვერა. თუმცა, ფაქტია, რომ დღეს უფრო ოპტიმისტურად ვარ, ვიდრე 5-6 დღის წინ ვიყავი.

რას მოიგებს მანჩესტერი, ეს სეზონის ბოლოს გამოჩნდება, მაგრამ თავად რონალდუ და მასთან დაკავშირებული, უკვე ბრენდად ქცეული ჯგუფი „პესტანა“ ფინანსურად რომ იხეირებს, ეს უკვე ნათლად ჩანს.

კრიშტიანუ ბრიტანეთში თავისი სასტუმროების იმპერიის გაფართოებას აპირებს და მანჩესტერის ერთ-ერთ რაიონში უკვე იწყება 27 მილიონგირვანქიანი მდიდრული სასტუმროს მშენებლობა, რომელიც 2023 წელს დასრულდება.

ეს მეშვიდე საფირმო სასტუმრო იქნება. მანამდე ასეთი სასტუმროები კრიშტიანუს მშობლიურ მადეირაზე, ლისაბონში, ნიუ იორკში, მადრიდში, პარიზსა და მაროკოულ მარაქეშში წამოჭიმეს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲭᲘᲚᲘ Ბ



შვეულად: 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 4. ვეტექიმის ძველი სახელწოდება; 5. სოფელი საჩხერის რაიონში; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი ლითონი; 15. უბანი თბილისში; 16. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 17. თვითმფრინავის ტრაექტორია დაშვებისას; 20. ყოველკვირეული ჟურნალი საქართველოში.

თარაზულად: 6. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 8. სიკო დოლიძის კინოკომედია; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. ქუჩაში მოწყობილი ბანკის სალარო-ავტომატი; 24. ამერიკული წარმოების ინდივიდუალური რეაქტიული ჭურვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. პინო; 2. პუარო; 3. ოპეკი; 5. ხუცური; 6. თეოლოგია; 9. უსახელაური; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. კია; 16. სესილი; 18. კიტო.

თარაზულად: 1. პომპეო; 4. აფხაზეთი; 7. ჩაფიძე; 8. კონფუცი; 12. კაფია; 13. სკლერა; 15. საღამო; 17. პაი; 19. ლეიკოციტები; 20. ჟიური; 21. ბონუსი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ხონთქარი; 2. ფერხისა; 3. სტუკო; 4. ლიგნიტი; 5. თამბაქო; 10. პასკვილი; 11. ეფრემვერდი; 12. ლიკეუმი; 15. პარტიტურა; 16. სკეტჩი; 17. ბურნაკუ; 20. ალუჩა.

თარაზულად: 6. კონცენტრატი; 7. ზინდანი; 8. ბრონქსი; 9. რამოსი; 13. მოლა; 14. აფონია; 18. დეპორტივო; 19. ბურჟუ; 21. ფლეში; 22. ფიორდი; 23. კუსტურიცა; 24. ასათიანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1170

ევრო — 3.6768

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2874

100 რუსული რუბლი — 4.2381

ამინდის პროგნოზი 31 აგვისტოსათვის

მემფის დეპაი: „გატანილმა გოლმა ძალიან გამახარა“



ბარსელონას ჰოლანდიელმა ფორვარდმა მემფის დეპაიმ კიდევ ერთხელ შეძლო თავის გამოჩენა და ამჯერად მან ხეტაფეს კარი დალაშქრა. ეს გოლი საბოლოოდ გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა და დეპაი ამის გამო სიხარულს არ მალავდა:

– მიხარია, რომ ოცნება ავისრულე და ბარსელონას გულშემატკივრის წინაშე გოლი გავიტანე. ეს ძალიან მაბედნიერებს, თუმცა გუნდის თამაში იდეალური არ იყო. ბევრი უნდა ვიმუშაოთ და თამაში უფრო სრულყოფილი გავხადოთ.

მარკო ვერატი: „მბაპე პსჟ-ში უნდა დარჩეს“

პსჟ-ს იტალიელმა ნახევარმცველმა მარკო ვერატიმ თავის თანაგუნდელ კილიან მბაპეზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ მბაპე გუნდში დარჩება, რადგან მის გარეშე პსჟ-ს შეტევა საგრძნობლად დასუსტდება:

– მბაპე უნდა დარჩეს, რადგან მასთან ერთად თამაში ძალიან სასიამოვნოა და ის ყოველთვის ცდილობს, გუნდს სარგებელი მოუტანოს. იმედი მაქვს, ის პსჟ-სთან შეთანხმებას მიაღწევს და სხვა გუნდში არ გადავა.

რუბენ დიაშმა სიტისთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

მანჩესტერ სიტის პორტუგალიელმა მცველმა რუბენ დიაშმა გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის ამ გუნდში 2027 წლამდე ითამაშებს. დიაში პრემიერლიგაში თავის პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და ხოსეპ გვარდიოლამ მისი დარჩენის გამო სიხარული გამოთქვა:

– დიაში ძლიერი მცველია და მასთან ერთად ჩვენი გუნდის გულშემატკივარი უფრო მშვიდად იქნება. ძალიან მიხარია, რომ მან სიტიში დარჩენა გადაწყვიტა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მბაპე რეალს მიუახლოვდა

დიდი ალბათობით, მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთი ხმაურიანი გარიგების მომსწრე გავხდებით. ლეო მესისა და კრისტიანუ რონალდუს შემდეგ გუნდს კიდევ ერთი სუპერვარსკვლავი, კილიან მბაპე შეიცვლის. ფრანგული და ესპანური გამოცემების ცნობით, 30 აგვისტოს დილით პსჟ-მ მბაპეს ახალი კონტრაქტი კიდევ ერთხელ შესთავაზა, მაგრამ ისევ უარი მიიღო. ფეხბურთელმა ფრანგულ კლუბს პირდაპირ განუცხადა, რომ განახლებას არ აპირებს და ამაზე საუბარს აზრი არ აქვს. „სკაი სპორტის“ ჟურნალისტი, რუდი გალეტი აცხადებს, რომ მადრიდის რეალმა შეთავაზება გაზარდა და პსჟ ფეხბურთელის გაშვებას დათანხმდა.



რუდი გალეტი:

– მბაპეს ტრანსფერი მალე დადასტურდება და ეს გასაკვირიც არ არის. ამასთან, რეალმა ადრე გაკეთებული შეთავაზება გაზარდა და პარიზული მხარისგან თანხმობა უკვე არსებობს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

31 აგვისტოსათვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

გამოცდის წინა ღამეა. პროფესორის ბინაში ტელეფონი რეკს. გაღიზიანებული პროფესორი ყურმილს იღებს და პასუხობს:

– დიახ, გისმენთ!

– რაო, გძინავს?

– რა ხდება?

– დამპალო, ჩვენ კი ვმეცადინეობთ.

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– აცრის შემდეგ ეგრევე სექსი შეიძლება?

– არა, მხოლოდ სახლში დაბრუნების შემდეგ.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს აღფრთოვანებული ეუბნება:

– იცი, ბიჭი შემეძინა! ბიჭი! წარმოგიდგენია, 6 გოგოს შემდეგ ბიჭი შემეძინა!

– და უფრო ვის ჰგავს, შენ თუ შენ ცოლს?

– არ ვიცი, სახეზე ჯერ არ შემიხედავს.

●●●

კომისიის თავმჯდომარე მშენებლობის უფროსს ეკითხება:

– ამ მშენებლობაზე რამდენი ადამიანი მუშაობს?

– ბრიგადირით ათი.

– და უბრიგადიროდ?

– არც ერთი.

●●●

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, ის ფუმფულა წითელი უკანალი მომეცით.

– უკაცრავად, მაგრამ ეს უკანალი კი არა გულია!

– იცით რა, ნუ მასწავლით, 20 წელია კარდიოქირურგი ვარ. ასე რომ, ის წითელი უკანალი მომეცით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია: „ახლა შვილის ყოლას არ ვაპირებ“

ქართველმა დიზაინერმა დემნა გვასალიამ უცხოელ ჟურნალისტებთან შვილის ყოლის თემაზე ისაუბრა:

– ახლა შვილის ყოლას არ ვაპირებ, რადგან ბავშვს დრო სჭირდება, მე კი ბევრ პროექტზე ვმუშაობ. ქალი რომ ვიყო, ვიტყოდი, უკვე 40 წლის ვარ და დროა ბავშვზე ვიფიქრო, მაგრამ ასე არ არის. ზოგადად კი ვგრძნობ, რომ მინდა მყავდეს პატარა არსება, რომელიც მე მემსგავსება, ან ჩემს პარტნიორს, ამიტომ მომავალში მეყოლება. ამის დროც მოვა.

სვანეთის კინოფესტივალი გამარჯვებულებს ფულად პრიზებს გადასცემს

სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი გამარჯვებულებს ფულად პრიზებს გადასცემს. ფესტივალის წარმომადგენლის, რეჟისორ მარიამ ხაჭვანის განცხადებით:

– კინოფესტივალზე დაიშვება მხოლოდ პირველი ან მეორე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი. კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დავაწესეთ პრიზები: პირველი ადგილი 5.000 ლარი, მეორე ადგილი 4.000 ლარი, ხოლო მესამე ადგილი 3.000 ლარი.

თელავის თეატრი პოლონეთში მიიწვიეს

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრი პოლონეთში საერთაშორისო ფესტივალზეა მიწვეული.

23 სექტემბერს ფესტივალის ოფიციალური მოწვევით, პოლონელი მაყურებლის წინაშე საქართველოს წარადგენს თელავის თეატრი ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლით „როცა ძალიან მოგენატრები“. სპექტაკლი გაიმართება პოლონეთის ქალაქ ბელოსტოკის ალექსანდრე ვეგიერკოს სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

– პანდემიის რთულ პირობებში თელავის თეატრი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო თეატრალურ მოვლენებში და წარმატებით ვაგრძელებთ ქართული თეატრის პოპულარიზაციას მსოფლიო ასპარეზზე, – ნათქვამია თელავის თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მსახიობი ნუგზარ ახალკაცი გარდაიცვალა

ვასო აბაშიძის სახელობის „ახალი თეატრის“ მსახიობი ნუგზარ ახალკაცი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მისმა მშობლიურმა თეატრმა გაავრცელა:

– ახალი თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი თეატრის არტისტის, ნიჭიერი და გულისხმიერი ადამიანის, ნუგზარ ახალკაცის გარდაცვალების გამო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დედა შიშველი ხელებით მოერია პუმას, რომელიც მის ბავშვს თავს დაესხა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ კალაბასას მცხოვრებმა ქალმა თავისი ხუთი წლის შვილი პუმას თავდასხმისგან გადაარჩინა. თევზჭერისა და ველური ბუნების დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა პატრიკ ფოიმ განაცხადა, რომ ქალმა შიშველი ხელებით მოახერხა ბავშვის მტაცებლისგან დაცვა.

– ის ნამდვილი გმირი დედაა, – დაამატა მან.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ბიჭი სახლთან თამაშობდა. მოულოდნელად მას თავს პუმა დაესხა. მტაცებელმა ბავშვის დაახლოებით 40 მეტრზე გათრევა მოახერხა. ბავშვის ყვირილზე დედამ მიირბინა და შვილი პუმას გამოსტაცა. ბავშვი თავის, კისრის და სხეულის ზედა ნაწილში მიყენებული დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პუმას ადამიანზე თავდასხმა ამ რაიონში 20 წელზე მეტია არ მომხდარა.

კენგურუს კოსტიუმში გამოწყობილ მამაკაცს ჯიბეში პატარა კენგურუ ჩაუხტა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ტემორაში პატარა კენგურუ ჯიბეში ჩაუხტა მამაკაცს, რომელსაც კენგურუს კოსტიუმი ეცვა. ტიკტოკში გამოქვეყნებულ ვიდეოში კენგურუს კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი სახლიდან გამოდის და მიდის იქვე ბალახზე წამოსკუპებული პატარა კენგურუს, სახელად ნაიჯელისკენ. მეგობრების სიცილის თანხლებით ის მის გვერდით ჩამოჯდება და მუცელზე დიდ ჯიბეს აჩვენებს. პატარა კენგურუ ჯერ შიგნით ჩაიხედავს, შემდეგ კი შიგნით ჩაძვრება.

ოთხ დღეში აღნიშნული ვიდეო 500 ათასამდე ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა და ბევრი დადებითი გამოხმაურებაც მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 3. ხულიგნის, ქურდის, ბანდიტის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 5. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 6. რაიმე საქმის წინასწარ განზრახვით დაზიანება, ჩაშლა; 9. ქართველი ექიმი, დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული სამეფო; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 16. კრემისგულიანი ნამცხვარი; 18. ფრანგი მეზღაპრე.

თარაზულად: 1. სათბურში გამოყვანილი ნერგი; 4. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 7. ქართველი მოგზაური გინესის რეკორდსმენი; 8. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ბრაზილიელი მწერალი; 13. მეტროს სადგური თბილისში; 15. საგაზეთო პუბლიკაცია; 17. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 19. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სამურაბე ლამბაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა